წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 10 აპრილი 1916 წ. № 80

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## სკოლა ტყეში

3750 ფუტია ზღვის დონაზე

საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წაღვერის ტყეში.

წელიწადი მესამე

ზ. გ. არჯევანიძისა

სეზონი გაიხსნება 20 მაისს

ბავშვების ჩაწერა საჭიროა 1 მაისამდე. **თბილისი:** მალაკნების ქუჩა, № 27, დღის 1—3 საათამდე.

(1-150-1)

## ახალი კლუბი

11 აპრილს 1916 წელს.

ორი შეერთებული გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს ოთხ განყოფილებად დიდ

## კონცერტს

დაწვრ. პროგრამებში. ◆ ბილეთების ფასი სამხედრო ბეგრით 1 მ. და 10 კ.

**ბილეთები იყიდება კლუბის კასაში დილის 12—2 ს. საღ. 6—9 ს.**

დასაწყისი დილის 12 საათზე.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხაილოვის პროსპექტი № 129)

ორშაბათს, 11 აპრილს, სიმებიანი ორკესტრი

სამშაბათს, 12 აპრილს, სინემატოგრაფი

ოთხშაბათს, 13 აპრილს, საზანდარი

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

სტუმრები შედიან საზოგადო წესით.

(1-84-1)

საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იყიდება უთვალავი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

**იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

## ლექსთა კრებული



-სა

თანდათანობით ურიგდება ხელის მომწერთ.

**ზედმეტად მორჩენილი წიგნები იყიდება:**

1) **წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში.**
2) „განათლების“ კანტორაში (ოლღას ქუჩა).
3) „ნოვ, რეჩ“-ის წიგნის მაღაზიაში (პროსპექტზე).

## მოდური მაღაზია

## მ. ზაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იყიდება უთვალავი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—88—1)



## „მერანი“-ს

**პირველ წიგნში მოთავსებულ იქნება:**

**ლ ე ქ ს ე ბ ი.**

სალამური—სანდრო შანშიაშვილისა, რა კარგი ხარ—ი. გრიშაშვილისა, სიკვდილ სიცოხლის ცეკვა—კ. მაყაშვილისა, ილიასადმი—შიო მღვიმელისა, ლექსები—გ. ქუჩიშვილისა, ლექსები ვარ. რუხაძისა.

**მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი**

დარო (დაუბეჭდავი)—ალ. ყაზბეგისა, ესკიზები—ინ-ბანისა, მუხა და ტირიფი—ლეო ქიაჩელისა, დვირდვა—დ. კასრაძისა და სხვათა.

**დ რ ა მ ე ბ ი**

ჭკუა მხიარული—პიესა ერთ მოქმედებად—ტრიფონ რამიშვილისა, ბერდო ზმანია—სანდრო შანშიაშვილისა.

**მუსიკა** (ნოტებზე)

ეროვნული ჰიმნი—დიმიტრი არაყიშვილისა.

**მხატვრობა.**

მერანი და ოცდა ათამდე სხვა ორიგინალი სურათი—ვლ. სიდამონ-ერისთავისა, მერანი—ტარასი მომცემლიძისა.

წიგნი მოზრდილი ფორმატისა იქნება.

ცალკე გასასყიდად ცოტა დაიბეჭდება.

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—20

6 აპრილს თბილისის სადგურზე საღამოს 9 საათამდე

## დავკარგე

საფულე თერთმეტ თუმან ნახევრით, ვექსილი ექვს თუმან ნახევრისა, მოწმობა თბ. სას. სემინარიაში სწავლისა, მოწმობა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებისა, სხვა და სხვა გვარი კვიტანციები და ვალდებულებანი. მპოვნელს ვსთხოვ დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: დიდუბის ქუჩა, № 6, ივანე გიორგის ძე არონიშიძეს, ფული კი დაიტოვოს.

(1—151—1)

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ** სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

## ქარ. ხელოვანთა საზოგადოების წევრთა საზოგადო

## საორგანიზაციო კრება

შესდგება ორშაბათს, 11 აპრილს, შუადღის 12 საათზე, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, № 5. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება წინასწარი მუშაობის შესახებ, 2) ანგარიშები, 4) საკითხი კულტურულ საზოგადოებათა კავშირში წევრად ჩაწერისა, 4) **არჩევნები:** ა) საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა, მოლარისა, მდივნისა და საბჭოს ხუთი წევრისა. ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) სამი წარმომადგენლისა კულტურულ საზოგადოებათა კავშირში, 5) ინსტრუქციები გამგეობისათვის და სხვა.

(1-85-1)

## შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

გიორგი ილიას ძის

## ჩუბინაშვილის

**მისამართი:** ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.

(თ—81—3)

# ქრისტე აღსდგა!

„ქრისტე აღსდგა!“

**ქრისტე აღსდგა!** ასე მიჰმართავდნენ ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მოციქულნი და ისინიც განიხარებდნენ, სასწაულით შვებასა ჰგრძნობდნენ.

„ქრისტე აღსდგა!“

ასეთი ხარებით განუხარებიათ ხშირად თვით ჩვენი დასამარებული საქართველო. და, მართლაც მომხდარა სასწაული, ფერფლიდან და ნანგრევებიდან ჩვენს სამშობლოს ზეთის ხილის შტო აღმოსცენებია სანიავოდ, სანუგეშებლად.

„ქრისტე აღსდგა!“

მივმართავთ ჩვენც ამ ნაკურთხი ზეთის ხილის შტოთა შრიალით, მივუსალბუნებთ მძიმე მომენტით გაწამებულ და შეწუხებულს საქართველოს შვილთ.

დიდია ტვირთი საზიდველი, დიდია განცდა ჩვენის ერის, მაგრამ უდიდესი იქმნების სიტკბო, ოდეს გოლგოთის მწვერვალს ჩვენი წამების ჯვარის გარდამოხსნა მოხდება და მკვდრეთით აღმდგარს სულს, სულს ნამდვილი საქართველოისას ერთად შევძახებთ აღტაცებით:

— ქრისტე აღსდგა!

განიხარე, ერო, ამ მომავალის რწმენით, იშვებდი და გულში იმარხავდე ამ ხარების საიდუმლოსა:

— ქრისტე აღსდგა!—

## მაშ მოდით!

იყო ქართველი ერი მკვდრეთით აღდგენილი და თავის აღდგომის დღეს სხვასაც აღადგენდა.

მან სხვა გარეშეც ბევრი გამოსტაცა ულმობელ სიკვდილს და თავის ბრწყინვალე კალთას შეაფარა.

მაგრამ ვინ დაუფასა? არავინ!

მეტყვით: სახელი ხომ მაინც დარჩაო!

რას მიქვიან სახელი, თუ იმ ძალას, რომელიც მე მუდამ ფენიქსებრ განმაახლებდა, ძალით თუ მალვით წარმტაცებენ, გამიუქმებენ?

არ იყო ჩემი ერი სასტიკი თავის გამარჯვების დროს. არ უნდა დაეხარა არსებობისთვის გალესილი მახვილი. არ უნდა მიჰკარებოდა მის გულს შებრალება და შენდობა, მაშინ მისთვის რა უნდა ყოფილიყო შარავანდედით მოსილი დიდება, ან პატივი?—მხოლოდ გართობა და ზღაპარი!

მძლავრზე იტყოდნენ: ჩვენი ბატონი მეტად სათნო და სამართლიანიაო! არ იტყოდნენ—ძალით ათქმევინებდა!

ჩუმად, ჩურჩულით, ცხრა მთას იქით თუ დრო ჟამის განვლის შემდეგ რაც უნდა ეთქვათ, ერი აღდგენილი და გამარჯვებული თავის შინაგან სევდით თუ სიხარულით, სიკვდილით თუ სიცოცხლით, მაგრამ მაინც გამარჯვებული ცხოვრების შარა გზაზე ივლიდა მოღიმარი ვიდრე მზე ბრწყინავს და ჟამი ჟამობს.

დღეს კი?—ჩემი ერი აღდგომის მოლოდინშია! მან ერთხელ უარი სქვა თავის ბედნიერებაზე და მცნებად აღიარა დავრდომილთა და უმწეოთა მოძღვრება ლმობიერებისა და შეწყალებისა, მოთმინებისა და სათნოებისა.

დასხდნენ მდინარესა ზედა ბაბილონისასა დ მოსთქვამენ: თუ დაგივიწყო იერუსალიმ, მაშ დაივიწყენ მარჯვენა ჩემიო!“

შენ ჩემო ბედო! შენ ჩაჰკალ ჩემი ერის ჯანსაღი თავმოყვარეობა!

შენ დამარხე კერპი, რომელიც თამამის და ლაღ სიცოცხლის სიმბოლოდ მყავდა გულში აღმართული და რომელიც მომიწოდებდა: არ დაუთმოო!

ბედო შავფრთიანო, შენ დამინგრიე ტაძარი, რომლის საკურთხეველშიაც ძლიერის ნებისყოფისთვის გუნდრუკი იკმეოდა.

ბედო მუხთალო, შენ დახიე ჩემი ერის ქედმოუხრელობის სისხლით შეღებილი დროშა და

შენ ჩააქვავებინე ჩემი მებაირახტრე უდრეკელი და მებუკე ზვიადი.

და განა დავსჯექ და ცრემლი დავღვარე?

და განა დავჯექ და ვიგლოვე?

ავდექ და ჩემს ხალხში გაველ. მოვნახე ადგილი, სადაც ოდესღაც ეროვნული ცეცხლი ენთებოდა და დიდების მსხვერპლი იწირებოდა.

გადავშალე ნაცარი და ჩაუმქრალ ნაპერწკალს დავუწყე გაჩაღება.

უნდა ავანთოთ ძლიერი ცეცხლი და იქ ვაწიროთ ქართვლის ახალი ღვთაება—ეროვნული დიდება!

უნდა დავსძახოთ ახალი ლოცვა:

„იყავ თავადი თავადთა შორის
„და ბრძანებელი შენის თავისა!

მაშ მოდით განდგომილნო და უიმედობით დაღვრემილნო და პირველ ნაბიჯს ერის აღდგენისას შემოუერთდით!

მაშ მოდით და ხალხის სიმღერას ჩვენი ხმაც შევუერთოთ:

— აღზდგა მკვდრეთით!

**სანდრო შანშიაშვილი.**

## აღსდექით!

ჰანეთში სოფელ მელოს გასწვრივ მთის კალთებში მიმალულა ერთმანეთზედ გადაბმული რამდენიმე დიდი სოფელი ლაზებისა.

დაცალიერებული მდიდარი სოფლები, მრავლად გადაბუგულ-გადამწვარ სახლკარით, მკვდრულ სიჩუმით მოცულს ერის დიდ საფლავს მიჰგვანებოდა.

აღდგომის დღე იყო.

ქართულ-რაზმის მე**ასეული უგზოუკვლოდ ხეტიალით მოქანცული და საშინელ კლდე-ღრეებზედ ბობღვით მილეული, გაეშურა უახლოეს სახლისაკენ.

ხევის ნაპირას, სოფლისაგან ცოტა მოშორებით მოსჩანდა დიდი ორსართულიანი ლაზური სახლი.

ნაწილი რაზმისა ქვევითა ბინებისაკენ დაეშვა, ნაწილი კი ჩემთან ერთად მიადგა ამ დიდ სახლს, მარდათ მიიფანტ-მოიფანტა მის ოთახ-დერეფნებში და ვისაც სად მოხვდა, იქვე გაგორდა, მიიძინა.

მეც უძილო და მისუსტებული დერეფნის ერთ გადარჩენილ ტახტზედ მივწექი და ძილი დავაპირე.

მაგრამ ძილი არ მერეოდა. გახროკილ ფიცრებზედ ბევრი ტრიალის შემდეგ, წამოვდექი და დერეფნის მოაჯირს მივეყუდე და გავხედე მშვენიერ არეს.

სალამოს მზის სხივები კიდეც ეთხოვებოდნენ მთა-ველ-მინდვრებს და წითელ ფერადების სხივებით ნაზად ეამბორებოდნენ დაობლებულ სოფლებს.

ვუცქერდი ამ საუცხოვო სურათს და თვალ წინ მიდგებოდა ჩვენი წარსულის ათასი ამგვარი ტრაღიკული დღე.

ვფიქრობდი: ბედკრულს სამშობლოს მზე მაშინაც ასე კეკლუცად და მხიბლავად ამოსდიოდა და ჩასდიოდა.

მაშინაც როდესაც აქ იჰედებოდა ძლიერი ქართული სული.

მაშინაც, როცა ოსმალთა მრისხანე ფადიშახების ბრძანებით ცეცხლით და მახვილით ქართველების კულტი იდევნებოდა.

ვუმზერდი მშვიდობიან და ყოველ განცდისაგან თავისუფალ მიმავალ ზეციურ მნათობს და მშურდა მისი სიმშვიდე, მშურდა მისი შეურყეველი თავისუფლება...

ყურში კი სიოს მოტანილი საიდუმლო ხმა მიჩურჩულებდა: „ნუ გშურს მზის თავისუფლება. იგი უსულოა და მკვდარი. მიწიერი მდგომარეობა ბევრად სახარბიელოა. აქ სიცოცხლეა... აქ ბრძოლაა... აქ თავისუფლების წყურვილი—ცოცხალ სულის ნაკვესია. ეს სული კი უკვდავია. აი გინდ დღეს ეს მკვდარი სოფელი! ამ სულის ერთ ნაპერწკლითაც ხვალ კვლავ გამოცოცხლდება და აღსდგება მკვდრეთით! და ეს აუცილებლივ ასე მოხდება, რადგან ყოველ ქართველს თან დააქვს ნაპერწკალი ამ დიად სულისა, წყურვილი და იმედი თავის ერის მომავალ აღორძინებისა“...

— ბიჭოს! გაისმა დერეფნის ერთერთ კუთხიდან ვილაცა რაზმელის ხმა.—ჩვენებს აქ კიდეც გაუვლიათ? შეხეთ ამ კარებს, ქართულად რომ წაუწერიათ!

— ბატონო აქეთ მობრძანდით!—მომვარდა რაზმელი. მეც მივყევი და დავაცქერდი ნაჩვენებ კარებს: ჩუქურთმებისაგან თავისუფალ კარების შუაგულში დამწვარ მუგუზლით დაჯღაბნილს და თავისებურ ლექსის წყობით ნაცად წარწერას წავაწყდი:

აღსდექით, ძმანო ლაზებო,
გულს ნუ გაიტეხთ ტანჯვითა
მოვდივართ თქვენთან ივერნი
სიყვარულ ძმურის შველითა.

**ქართველი რაზმელი.**

წერის მანერაზე ეტყობოდა, რომ „მგოსანი“ სოფლელი კაცი იყო.

აი ამ სულის ნაპერწკალი! ვიფიქრე... და გამეხსნა შუბლი, მომეშვა მძიმე ლოდი უიმედო მწუხრისა.

ეს იყო სწორედ ერთის წლის წინად..

აღდგომის დღეს...

**ეკალი.**

## წამებული ჭეშმარიტება

I

თავს ეკლის გვირგვინი დაადგეს, თვალთაგან გადმონადენი მარგალიტები სისხლის წვეთებმა შეუღებეს.

— ძე ღვთისა ტირის, ძე ღვთისა!.. ძე ღვთისა!—გადადიოდა სიტყვები ერთის პირიდან მეორისაში და ყველა ცდილობდა აბუჩად აგდებული და ატირებული ჭეშმარიტება საკუთარის თვალით დაენახნა... ხელით შეურაცხყოფა მიეყენებინა.

— სად არის მაგის ძლიერება, სადა, ჰა?..

— ძლიერება!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ძლიერებაო...

— შენ ეჲ, ფეხი ნუ დამადგი!.. კაბა!..

— რა უშავს, ძე ღვთისა აქ არ არის... გაგიმთელებს.

— მე და ჩემმა ღმერთმა, კარგა სთქვი! გაიგეთ ხალხნო? მაგას უნდოდა სამს დღეში ჩვენი ტაძარი დაექცია კიდეც და აეგო კიდეც!

— ჰო, ჰო! მართალია!..

— ჯვარს ვაცვათ, ჯვარსა!

— ძე ღვთისაა, გადმოფრინდება.

— რა სეირი იქნება, რომ მართლა გადმოფრინდეს!

— გადმოფრინდესო!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. გადმოფრინდესო... ეს რა თქვა, ხალხნო, ეს რა თქვა!..

— შვილო ჩემო! შვილო!—გაისმა გამწარებული ადამიანის ხმა და ცოტა ხნით სიცილ-ხარხარს ბოლო მოეღო.

ბრბოს თმაგაწეწილი მანდილოსანი მოარღვევდა დ ყველას ემუდარებოდა:

— გამიშვით! შემიბრალეთ!.. თქვენც გყავთ დედები!.. თქვენც გყავთ შვილები!.. გამიშვით. წყლულები შევუმშრალო... მტლად დავედო...

— დედაა, ხალხნო, დედა!.. გაუშვით!—დაიძახა ბრბომ ერთხმად და მანდილოსანს გზა მისცა.

გულდაკოდილი დედა ტანჯულთან მიიჭრა, წყლულები დაუკოცნა და ბრბოს შეჰღაღადა.

— ხალხნო, ჩემ ქალარას დასდეთ პატივი! მაჩუქეთ ამისი სიცოცხლე!.. მცემეთ, ლურსმები გამიბნიეთ ხორცში, ცეცხლში გამატარეთ, რაც გინდა დამმართეთ, გულ-ღვიძლს კი ნუ მისერავთ, ნუ! ჯიგარს ნუ მიწიწკნით!

— დედაკაცო, შენმა შვილმა უფალი ღმერთი დაჰგმო, უნდა დაიტანჯოს,—უპასუხა ფარისეველმა.

ძე ღვთისად ხმობილს ტუჩებზე მწარე ღიმილმა გადურბინა და სიბრალულით სავსე თვალები ბრბოს გადაავლო.

— დედი!—მიჰმართა წყნარის ხმით მანდილოსანსა, — უნდა აღსრულდეს რაც დაწერილა: ჭეშმარიტება უნდა ეწამოს, სისხლით შეიღებოს რომ ცოდვილს ქვეყანას უფრო სპეტაკად მოევლინოს, ჭეშმარიტება ეკლიანი გზით უნდა იბრძმედებოდეს... ეს სიცილხარხარი ბოროტების უძლურებაა... ჩემი ტანჯვა სატანას დაამარცხებს... აი დედი ეს უნდა შევიბრალოთ ესა, სატანის ბრმა იარაღად რომ გამხდარა,—ძე ღვთისამ დედას ბრბოზე მიუთითა,—აი ეს უნდა ვიხსნათ... წადი, დედი! თუ ჩემი თავი გიყვარს, ხელს ნუ შეუშლი: ჭეშმარიტება უნდა ეწამოს.

დედას გულში ცეცხლის ალი უტრიალებდა, მაგრამ შვილის სიტყვას მაინც დაემორჩილა და ნელის ნაბიჯით მოშორდა.

ძე ღვთისას ჯვარი აჰკიდეს და გოლგოთის გზას გაუყენეს. მიწა შუბლიდან გამონადენი სისხლის წვეთებით ირწყვებოდა და სულნელი ყვავილებით იფინებოდა, ბრბო კი სთელავდა და სტკბებოდა...

ჭეშმარიტება ჯვარზე გააკრეს.

II

ჭეშმარიტება ხორციელს განშორდა და ქვეყანა ბნელმა მოიცვა. დედამიწა შიშის ზარმა აიტანა, არარაობა იგრძნო. მესამე დღეს რიჟრაჟზე, ღვთის შვილის ნაკვალევზე ამოსულმა თეთრმა ყვავილებმა შორიდან მონადენ მზის ცელქ სხივებს გუნდრუკი მიუკმიეს დი ნაზი ჩურჩულით აუწყეს: ჭეშმარიტება აღსდგაო. ცელქებმა კიდევ მთელ ქვეყანას მოსდეს სასიხარულო ამბავი. დედამიწამ თავისუფლად ამოისუნთქა: თავისი არსი დაუბრუნდა. ბუნება ახმაურდა და გამარჯვებულს ჭეშმარიტებას დილის საგალობელი მიუძღვნა. ცარიელ გამოქვაბულთან კი ვინმე მანდილოსანი მდულარებას აბნევდა და მოსთქვამდა.

— შენი გვამიც კი შეჰშურდათ ჩემთვის... უგუნურნო, სათნოების მეტს რას სთესავდა თქვენში ჩემი უფალი!.. ისე როგორ აგებათ თვალნი რომ სიკეთის ნასახსაც ვეღარ ამჩნევდით? უსულო გვამი ვის რაღას უშავებდა... ოჰ, მზეო, მზეო! ძძით შეიმოსე, ძძით! ნუ, ნუღარ უგზავნი აგრე გულუხვად ბრწყინვალე მოციქულთ ცოდვილ ქვეყანას! ღირსი არ არის!.. ღირსი არ არის!.. ბუნებავ, შესწყვიტე შენი მხიარულება! ის აღარ არის... ქნარისა სიმნი გლოვისა ჰანგზე ააჟღერე!..

— მარიამ, მარიამ!—მოესმა ნაცნობი ხმა მტირალ ადამიანსა,—უნდა გჯეროდეს, უნდა გჯეროდეს!,. დაიჯერე, რომ წამებული ჭეშმარიტება მუდამ იმარჯვებს!

მანდილოსანმა გაფაციცებით თავი მაღლა აიღო და ახლოს პატარა მდელოზე თეთრ ყვავილთ შორის ძე ღვთისა დაინახა. უნებლიეთ თვალნი დახუჭა: ჭეშმარიტებას თოვლივით თეთრი სამოსელი ტანს უბურავდა და განვლილ ტანჯვის ნიშნად თავს სუნნელოვანი წითელ ყვავილთა გვირგვინი უმშვენებდა.

— ეხლა კი მჯერა, უფალო, მჯერა, რომ წამებული ჭეშმარიტება მუდამ იმარჯვებს!—წამოიძახა აღტაცებულმა მარიამმა და ძლევა-მოსილ ტანჯულის წინ მუხლი მოიყარა.

**ინ—ზანი.**

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**გორი. გორის სახოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლად, მომავალ საერობო თათბირზე, დასასწრებლად შალვა ქარუმიძე აირჩიეს.**

**ქურდიანი.**

## პოლიტიკა ეროვნული და მოქალაქობრივი

სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უფლება-მოვალეობანი თანასწორად არ არის განაწილებული და ამ ნიადაგზე საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფთა შორის უთანხმოება და ბრძოლა იბადება. უმაღლესი მმართველობა, ხელმწიფება სახელმწიფოში, ხალხის მცირე ნაწილის ხელში იკრიბება და დანარჩენი მასსა მმართველობითს უფლებებს მოკლებულია. სახელმწიფოს ამ ორ ნაწილთა შორის, უფლებრივ ბრძოლის დროს, სადათ რომ გამოვხატოთ, ისეთი დამოკიდებულება მყარდება, რომ რასაც ერთი ჰკარგავს, მას მეორე იძენს. თუ მმართველი წრე უფლებრივად შეიზღუდება, ხელმწიფებას მოკლებული ხალხის უფლებები ფართოვდება, ძლიერდება. ასე რომ, როგორც ძველია სახელმწიფოში უფლებრივი უთანასწორობა, ისე ხნიერი უნდა იყოს ამის გამო ატეხილი უთანხმოება და ის პოლიტიკური ლტოლვილებანი—დემოკრატიული, არისტოკრატიული თუ მონარქიული იდეალები, რომელთა დროშის ქვეშ სწარმოებს ეს უფლებრივი ბრძოლა. და მართლაც, ჯერ საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროდოტეც აგვიწერს ყველა ამ სახელმწიფოებრივ სახეებს, როდესაც ის სპარსეთის სამეფოს წყობილებაზედ მოგვითხრობს. თვით ძველ საბერძნეთში ნათლად ვხედავთ ასეთს უფლებრივ განხეთქილებას, მოქალაქეობრივ ბრძოლას. ის აღმოცენდა ჯერ მცირე აზიის მდიდარ ახალშენებში და შემდგომ ფეხს იკიდებს თვით დედა-საბერძნეთში. აღსანიშნავია, რომ უფლებრივი უთანასწორობის გამო ბრძოლა და პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესი ხალხს ებადება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ქონებრივად და ზნეობრივად ერთგვარს სიმაღლეს მიაღწევს. თუ ხალხის დიდი უმრავლესობა სიღარიბეს განიცდის და არსებობისთვის ბრძოლაშია ჩაბმული, ის ვერ გრძნობს და ვერ განიცდის უფლებრივ უთანასწორობის სიმძიმეს. ლუკმა პურის საკითხი მისთვის არსებითი საკითხია და მისი ძიება ჰფარავს ყოველგვარ მის მისწრაფებებს. ასეთს პირობებში ხალხს შეუძლიან ამბოხებ-აჯანყება მოახდინოს და მით სახელმწიფოებრივი წყობილებაც შესცვალოს. მაგრამ მწყობრ და ხანგრძლივ მოქალაქეობრივ ბრძოლას უფლებების მოსაპოებლად ის ვერ აწარმოებს. ამის მაგალითს მრავლად გვაწვდის ხალხთა განვითარების ისტორია და თუნდაც ეხლანდელი ჩინეთის „რესპუბლიკა“.

ქონებრივად გალაღებულ ათინელ მოქალაქეებისათვის აგორაზედ შეკრება, სახელ განთქმულ ორატოოების მოსმენა, დემოკრატიზმის თუ მონარქიზმის შესახებ კამათში მონაწილეობის მიღება ისეთივე გასართობი იყო, როგორც თეატრში მსახიობების თამაშის ცქერა და მომღერალთა მოსმენა. ამასთანავე ათინელისთვის სულ ერთი არ იყო, თუ როგორი იქმნებოდა სახელმწიფოებრივი წყობილება. თუ დაწესდებოდა ტირანია, მოქალაქეთა ერთი უმნიშვნელო ჯგუფი ტირანის მეთაურობით სახელმწიფოს ბატონ-პატრონი შეიქმნებოდა და ის უმრავლესობის საზარალო პოლიტიკასაც აწარმოებდა. და თუ ძალა ჩაუვარდებოდა უმრავლესობას, დემოკრატიას. ის ზედ მეტს გადასახადებს დაადებდა დიდ სოვდაგრებს, შემოიღებდა ნავთსადგურის თუ სხვა ბაჟებს და თუ გონიერი მეთაურები აღმოუჩნდებოდა, ამ შემოსავლით საზოგადო შენობებს ააგებდა და მით ღარიბებს სამუშვარს აღმოუჩენდა დი ქალაქს კი გაამშვენებდა, გაალამაზებდა. მაშასადამე, ათინელისთვის უფლებრივ ბრძოლას შინაარსი ჰქონდა, რეალ ინტერესს გამოხატავდა. გასაკვირველი არ არის, რომ მდიდარ საბერძნეთში, სადაც მთელი ხალხი პოეზიით, თეატრით და მუსიკით ერთობოდა, უფლებრივი საკითხებიც დიდს, ყურადღებას იმსახურებდენ. საბერძნეთმა მრავალჯერ განიცადა სახელმწიფოებრივი ცვალებადობა—ტირანიიდან დაწყებული, ბრბოს ბატონობამდის და აზროვნებაშიაც პლატონის და არისტოტელის სახელმწიფოებრივი კლასსიფიკაციები ჯერ კიდევ გარდუვალად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

ანტიურ ქვეყნის დაცემის შემდეგ საჭირო შეიქმნა მრავალ საუკუნეს განევლო, რომ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში ისეთი ფართე ხასიათის მოქალაქოებრივი ბრძოლა აღმოცენებულიყოს, როგორც ძველ საბერძნეთში. ეს საუკუნეები აღვსილი იყო ევროპაში გერმანელთა და სლავიანელთა ველურ ტომების შემოსევით, მათ შორის მუდმივ ომებით. დაუსრულებელმა ომებმა მოქალაქობრივი ცხოვრება მოსპო, ტლანქი ძალა და ეკონომიურ ცხოვრებაში კი—სიღარიბე გამეფა. სახელმწიფოებრივი ძალა ერთი მუჭა ხალხის ხელში იკრიბება და დანარჩენი ხალხი მონობას განიცდის. მაგრამ ეს ხანაც თავდება. ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობიანობა მყარდება, ეკონომიური საქმიანობა იბადება და ხალხი დოვლათს აგროვებს. აზნაურობას და სამღვდელოებას, რომლების ხელშია თავმოყრილი უფლებრივი ძალა, გვერდში მესამე წოდება ამოუდგება. ის ქონებრივად ძლიერია, და გონებრივადაც, სწავლაგანათლებით ხელმწიფებით აღჭურვილთ მეტოქეობას უწევს. აქ მესამე წოდება იხსენებს დემოკრატიულ იდეალებს, და უფლებების მოსაპოებლად მოქალაქობრივ ბრძოლას იწყებს. ეს გასაგებია. მრეწველთათვის შემავიწროებელია ისეთი წესები როდესაც ის ამზადებს იმ საქონელს, რომელსაც მთავრობა უბრძანებს და იმ სახით, როგორც მმართველობას სურს. ალებმიცემობა შებორკილია სახელმწიფოს შინაგანი ბაჟებით და უზომო გადასახადებით. გლეხობას ხომ მძიმე ტვირთად აწევს ძველი ფეოდალური წყობილების უღელი და სხვა. აქ დემოკრატიულ ბრძოლას უკვე რეალი შინაარსი აქვს. ის ფართე მასის ხორცშესხმულ ინტერესებს გამოხატავს. ასეთი ხასიათის მოქალაქეობრივი ბრძოლა დაიბადა და სწარმოებს ყველა მოწინავე ერთა ცხოვრებაში. ზოგან ის უფრო ადრე იწყება და ზოგან კი—უფრო გვიან, იმისდა მიხედვით, თუ რომელმა სახელმწიფომ უფრო ადრე მიაღწია იმ ერთგვარ ქონებრივ და გონებრივ განვითარებას, როდესაც საზოგადოების ყველა ნაწილები უფლებრივი საკითხებით დაინტერესდებიან.

ფრანგი გლეხი დიდად არის დაინტერესებული საფრანგეთის შინაგანი და გარეშე პოლიტიკით. მისი მეურნეობის ნაყოფი ვინ იცის სად გაიზიდება და მისი მეურნეობა გადაჯაჭვულია ქვეყნის სხვა და სხვა კუთხესთან და გარეშე სახელმწიფოებშიაც მას მოეძებნება რეალი ინტერესი. ასე რომ პოლიტიკურ იდეალების გარშემო ბრძოლა ყველა მოწინავე ქვეყნებში სწარმოებს. ხელმწიფებით აღჭურვილი მცირე ჯგუფი ადვილად არ ელევა სახელმწიფოებრივ ძალა-გავლენას. მაგრამ თუ ხალხი უფლებების და სამართლიან თანასწორობის ძიებას დაიწყებს, უფლებრივი ზღუდეები თანდათან იშლება და სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარების პროცესიც უთუოდ ხალხის უფლებრივ თანასწორობით გვირგვინდება. უმაღლესი ხელმწიფება, სუვერენული სახელმწიფოებრივი უფლება, მთელ ერს მიეკუთვნება.

ასეთია თანამედროვე ხალხთა უფლებრივი განვითარება, თუ ის ბუნებრივი გზით სწარმოებს. ხოლო, თუ გარეშე ძალა შინაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოიჭრება, ერის პოლიტიკური განვითარების ნიადაგიც იცვლება. როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს დაიპყრობს, ის ახდის მას უმაღლეს მმართველობის, ხელმწიფების უფლებას, რომლისთვის აქამომდე პოლიტიკური ბრძოლა იყო გაჩაღებული. დაპყრობილი ერის მმართველობა გაბატონებული სახელმწიფოს ხელში გადადის. ამრიგად ერი ჰკარგავს იმ უმაღლეს სუვერენულ უფლებებს, რომლისთვისაც ერში პოლიტიკური ბრძოლა სწარმოებდა. ასეთს პირობებში ეროვნულ ცხოვრების ფარგალში დემოკრატიული თუ არისტოკრატიული ლტოლვილებანი ნიადაგს ჰკარგავს. და ერის ყველა ნაწილები ეროვნული პლატფორმის გარშემო იკრიბება. უფლება აყრილი ერი სცდილობს დაკარგული სუვერენული ხელმწიფების დაბრუნებას. ამის მაგალითს გვიჩვენებენ ევროპის ეროვნებანი—იტალეთი, ფინეთი თუ პოლონეთი, რომელთაც ეროვნული თავისუფლების დაკარგვა გამოსცადეს. რასაკვირველია, თავისუფლება აყრილ ერშიაც ყველა წოდება და კლასი სავსებით ერთგვარ უფლებრივ მდგომარეობას არ განიცდის, მაგრამ საერთო ეროვნული მონობა ჰფარავს ამ ცოტაოდენ სხვადასხვაობას. ამით აიხსნება რომ პოლონეთის ეროვნულ ცხოვრებაში, მას შემდეგ რაც მან დამოუკიდებლობა დაჰკარგა, დემოკრატიულ-არისტოკრატიული მისწრაფებები პოლიტიკას არ ჰქონიდენ და მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი აერთებდა მთელ ერს. მხოლოდ ის ერები, რომლებთაც მკვიდრი ეროვნული ცხოვრება არ აქვთ შეგნებული და ქონებრივად და კულტურულად უძლური არიან, როდესაც ეროვნულ თავისუფლებას დაჰკარგავენ, გაბატონებულ ერის ცხოვრებაში თითქოს გაითქვიფებიან. ითვისებენ არა მარტო მის ენას და ზნე-ჩვეულებას, არამედ იმ პოლიტიკურ იდეალებსაც, რომელსაც ეს გაბატონებული ერი ემსახურება, რასაკვირველია თავის საკეთილდღეოდ. ამ შემთხვევაში თავისუფლება აყრილი ერის ნაწილები განაგრძობენ ურთიერთ შორის პოლიტიკური ხასიათის ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის რეალი ნიადაგი უკვე აღარ მოიპოება. ამით ეროვნული ძალები იქსაქსება, სუსტდება და ეს რასაკვირველია ხელს უწყობს ერის უუფლებობის განმტკიცებას.

ეროვნული ორგანიზაცია უმაღლესი და უმტკიცესი კავშირია დაწინაურებულ ხალხთა ცხოვრებაში. ეროვნული ლტოლვილები იმონებს და თავის განვითარებას უმორჩილებს ყოველგვარ სხვა სოციალურ-პოლიტიკურ მისწრაფებებს. ერთა ეკონომიური, სახელმწიფოებრივი, თუ კულტურული ზრდაგანვითარება ეროვნული დროშის ქვეშ სწარმოებს. ამით აიხსნება, რომ ხელმწიფება აყრილი ერის ნაწილები იბრძვიან, რომ ეროვნული თავისუფლება აღადგინონ და მით ერის სოციალ-პოლიტიკური განვითარება ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნონ.

**ალ. ახათიანი.**

# დიდი მორიგი საქმე

ქართველი კაცისთვის ეროვნული პრობლემა ან სრულებით არ არსებობს, ან თუ არსებობს, არსებობს მხოლოდ როგორც თეორია, თუ მეტაფიზიკა. როგორც ბევრი სხვაც, ჯერ ვერც ეროვნული პრობლემა გამხდარა პრაქტიკული ზრუნვის საგნად.

ქართველს თავისი მოვალეობა მოხდილი ჰგონია, თუ რომ ფიქრში ატარა ეროვნული პრობლემის პრინციპიული შეწყნარების შეგნება.

ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში ეროვნული საკითხი ამოიწურება ამა თუ იმ სახის სიტყვიერ დეკლარაციით, თუ დებატებით. მეცხრამეტე—მეოცე საუკუნეში ქართველობას არც კი უცდია, მსხვერპლი რომ გაეღო ამ ყოფნა-არყოფნის საკითხისთვის. შემთხვევითი მოვლენა როდია, მოძრაობის წლები და მასთან დაკავშირებული აუარებელი მსხვერპლი, ადამიანის სიცოცხლისა თუ ქონება-ავლა-დიდების სახით, ეროვნული ღერძის გარეშე რომ დარჩა და მოხდა. არც ეხლა და, მით უმეტეს, არც მაშინ ეროვნული საკითხი ცოცხალი პოლიტიკის და სადღეისო, აუცილებელი მზრუნველობის საკითხად არ გადაქცეულა. იგი ჯერ ვერ შეიჭრა ქართველის არსებაში, როგორც მამოძრავებელი ძალა, როგორც სტიმული მისი ძალა-ენერგიის ამუშავებისა ამა თუ იმ პრაქტიკული ღონისძიების მისაღებად, ამა თუ იმ რეალი პოლიტიკის საწარმოებლად. ეროვნული პრობლემა ქართველის შემეცნების სფეროში ისეთივე განყენებული და პასიური წერტილია, როგორც, რომელიმე მათემატიკური პრობლემა. ჯერ ვერ მიგვიღწევია იმ ყოფამდე, რომ ეროვნულ პრობლემას შევხედოთ, როგორც უაღრესად ცოცხალ საქმეს, რომელიც გულისხმობს და მოითხოვს ჯანგაუტეხელ პრაქტიკულ მუშაობას, განუწყვეტელ მოქმედებას და მსხვერპლს.

ჩვენ მხოლოდ **ვხედავთ** და **გვესმის** რომ ვერდენის ჯოჯოხეთი თავისი საშინელი მსხვერპლით საფრანგეთის და გერმანეთის სხვა და სხვა ეროვნული ყოფით და შინაარსით არის გამოწვეული, გარნა **ამის** სინამდვილეს **არ განვიცდით**. ჩვენი ვერდენები ჩვენცა გვქონია. ჩვენც განგვიცდია მთელის არსებით რომ ეროვნული საკითხი უბრალო ბოლთის ცემა არ იყო მეტაფიზიკის ხეივნებში, არამედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი რომელიც სძრავდა მთელ საქართველოს და რომელსაც ვწირავდით, გაშმაგებით და სიფიცხით, საკუთარ სიცოცხლეს. ეს იყო წარსულში. დღეს ასე აღარ არის,—გამოვიცვალენით.

ამის მიზეზია არსებული დიდი ისტორიული მომენტი რომ ვერ გამოვიყენებია. მოხდა ისე რომ საქართველოს იმ მშვენიერ ნახევარში, რომელმაც შექმნა ჩვენი ერის სახელი და დიდება და რომელიც მთელი სამასი წელიწადი ჩამოშორებული იყო, ქართულ ეროვნულ სხეულს და გადაგვარების უკანასკნელ სტადიაზედ იმყოფებოდა, დღეს თავისუფალი მისვლა-მოსვლის, სიტყვის წაღებ-წამოღების და საქმის კეთების საშუალება მოგვეცა. მოხდა ისე რომ ჭანეთის მეტი ნაწილი ფაქტიურად დღეს რუსეთის ხელშია და ამგვარად საქართველოს ტერიტორიას შემოუერთდა მისი ღვიძლი ნაწილი, რომელიც, სხვა მაჰმადიან საქართველოსთან შედარებით, კიდევ უფრო ადრე დაგვეკარგა. დღეს ერთი ხელმწიფების დროშას მოექცა თითქმის მთელი ძველი საქართველო. მოხდა ტერიტორიული გაერთიანება ორი საქართველოსი, სამაჰმადიანო და ქრისტიანო საქართველოსი. ეს არის ფაქტიური სინამდვილე. არ ვიცით, რანაირი დასკვნა მიეცემა ყველა ამას. ამის განჭვრეტა ძნელია, შეუძლებელიც და ეს გარემოება ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს უნდა გვახსოვდეს. მაგრამ თვით ფაქტს გამოყენება უნდა. საქართველოს ეროვნული აღორძინება და გაბრწყინება მოხდება მაშინ, როდესაც მის კონებრივ-კულტურულ-სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში მაჰმადიანი და ქრისტიანი ძმები ერთად ჩაებმიან. ამათი შედუღება საქართველოს აღდგენა. ამ საქმეს დაწყება უნდა. იგი, თუ გნებავთ, დაწყებულია კიდეც: ეხლა საჭიროა მაშტაბის გაფართოვება და მოქმედების გაძლიერება. მომენტი და პირობები უაღრესად ხელსაყრელია.

სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს მომხდარი ტერიტორიული გაერთსახელმწიფოება და გაერთიანება ის ნიადაგია, რომელზედაც დღეს შეიძლება ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობის ღვიძლი ნათესაობისა და ეროვნული ერთარსების გაღვიძება-გაცხოველება. ფიზიკური კონტაქტის დამყარება სულიერ-ეროვნული კონტაქტის საშუალებას იძლევა. აუცილებელია მათთან მისვლა; ჩვენ ხომ არ ვიცით, თუ რას ფიქრობენ მაჰმადიანი ძმები, რას ესწრაფვიან კერძოდ ლაზები, რანაირია მათი ფარული თუ აშკარა ზრახვა. რათა გგონიათ ბაზალეთის ცრემლის ტბა მარტო საქართველოს ამ ნაწილში იდგეს თავისი საყვარელის ყრმითა?! დაკარგული ძმასთან მისვლაა საჭირო. ერთმანერთს გულები აუხადოთ, სამას-ხუთას წლობით დაშორებულები ერთმანერთს ვატაკოთ,—ვინ იცის, იქნებ რა იგრძნონ?! მივიდეთ, თესლი გადვისროლოთ. რანაირიც გინდ იყოს ომის დაბოლოება, იგი უსარგებლოდ არ დარჩება.

ეს ჩვენი ეროვნული მიზანი და ინტერესი, ყოვლად ბუნებრივი, კანონიერი და სამართლიანია, ამ შემთხვევაში, რუსეთის მთავრობის მხრივ, დაბრკოლება არ გადაეღობება.

ამ ხანად ჩვენს საზღვრებში შემოსულ მაჰმადიან ქართველობას გაჭირვების დროს რომ ხელი გაუწოდოთ, დავეხმაროთ, თბილი გრძნობა მივთავაზოთ, უთხრათ ძმური სიტყვა, და ამას ძმური საქმეც თან მივაყოლოთ, ამის საწინააღმდეგო მთავრობას არა ექნება-რა. პირიქით!.. მაშ ამ მდგომარეობას გამოყენება უნდა.

სიტყვას თუ თავისი მნიშვნელობა არ დაჰკარგვია, მაშ გავიგოთ თუ რას ნიშნავს ეს „დღეს არა-ჩვეულებრი მომენტია“, რასაც ძახილით ყველა გავიძახით. შესაძლებელია ეხლა, ორ-სამ თვეში იმდენი რამე გაკეთდეს, რასაც მეთოდიურის მუშაობით ჩვეულებრივ დროს მთელს საუკუნეში ვერ გავაკეთებთ. ავმაღლდეთ წუთიერზედ, პარტიულზე, სამარცხვინო ჯგუფურ სულის კვეთებაზედ, რომელსაც გახრწნილება და დაწვრილმანება შეაქვს ერის ცხოვრებაში; ვიქნეთ მომენტის ღირსეულნი მატარებელნი! გასაკეთებელია დიადი ეროვნული საქმე, ორი ღვიძლი ნაწილის, სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს კვლავ შედუღების და გაერთიანების საქმე, რომელშიაც მარხია უტყუარი საწინდარი საქართველოს აღდგენისა. ამგვარი საქმე, ამგვარი მოქმედება და საქმიანობაა თვით შინაარსი ეროვნული პრობლემისა. ეს არის ჩვენი დღევანდელი ვერდენი, პატარა ერის პატარა ვერდენი: კულტურით და მშვიდობიანობით დავიახლოვოთ დ შემოვიერთოთ საქართველოს მშვენიერი ნახევარი. ეს მორიგი მწვავე საკითხია. პასუხი უნდა გასცეთ. დრო არ იცდის!

ს. კედია.

# გლეხის სიმღერა

ჩემო სტუმარო, უმადურო რას მედავები?
რა გინდა ჩემგან? ბევრჯელ მახეს შენგან გავები!
შორის ქვეყნიდან გადმოჰსულხარ, აქ მეძალები?
ჩემსა სიხარულს შენ იჩემებ, ჰშალე მკლავები.
კარს მომაყენე შიმშილი და ცოდო-ბრალები,
მე მოკრძალებით გიმასპინძლე, მოგეც ხელები,
აგავსე ლხინით—დაგიბრმავდეს შენ ეგ თვალები!—
შენ კი გამძარცვე, მოიხმარე ჩემზე ძალები.
ეგრე არ გიჯობს, საქმე არ ჰქნა დასანანები,
იცოდე ბოლმით სავსეს აღარ შემებრალები,
წადი, სტუმარო, უმადურო, რას მედავები!

ჩემი წაიღო, როგორ მოგცემ მე ამის ნებას?
ეპატრონები, ერთი მითხარ, ვის საკუთრებას?
ჩემთვის მეტი ხარ, ვერ ვიკისრებ შენს აკიდებას,
არას დაგითმობ, ნუ ისურვებ ჩემს წაკიდებას!
ვღარც მიგინდობ, შენგან ბევრჯელ მახეს გავები.
ჩემი მე ჩემთვის, თეთრი იყოს, თუნდა შავები,
ამ ჩემს ბინიდან მითხარ როდის წაეშავები?
უცხო სტუმარო, უმადურო, რას მედავები?

**სანდრო შანშიაშვილი.**

* * *

საიდან მოხვალ ჩემს სამშობლოს ტურფა მხარეში,
არარაობავ, ბინძურების გესლით აღვსილო?
ჩვენ არ გვწყურია შენი ყოფნა, შენი თარეში—
გაქრი, გაგვშორდი, უგნურების შავო აჩრდილო!
შენს მახინჯ სახეს, რა აზრი აქვს ჩემს სამშობლოში,
როცა აქ მხოლოდ სიყვარული ყვავის, ციმციმებს?
სნეულის გრძნობა, თუმც იქნება მუხანათ დროში,
მაგრამ სიფლიდეს, გარყვნილებას ვინ შეგითვისებს?!.
ჩვენ დასაბამით ვუგალობდით მშვენიერებას,
თუმც მტარვლის ხელმა მოჰკლა ჩვენი დღესასწაული;
ჩვენ დასაბამით ვეძიებდით ბედნიერებას,
და რაღად გვინდა, რად გვჭირია ბრიყვთ სასწაული?
განშორდი ტაძარს საყვარელსა ივერიისას—
შოთას სამშობლო უგნურების არ არის ბუდე!
ჩვენ გვინდა ბრძოლა, ჩვენ გვწყურია თავისუფლება,
რომ დავამსხვრიოთ მუხანათი სიკვდილის ზღუდე!
თქვენ ვინ მოგიხმოთ უსულ-გულო მაწანწალები,
სისხლის წუთებში, განახლება—გარდაქმნის დროში?
სორო მონახეთ და დახუჭეთ ფლიდი თვალები,—
თქვენი ღაღადი არ ისმოდეს ამ საწუთროში!
ჩვენ ავაშენებთ წმიდა ტაძარს სიყვარულისას,
ჩვენ გავაღმერთებთ ჩვენი ერის ღირსეულ ღმერთებს,
და თუ ვერ ვპოვებთ საუკუნო შვებას სულისას.—
თავისუფლება, სიყვარული ჩვენ შეგვიერთებს!..
და მოვა ჟამი,—დამიწებულ ჩვენ ობოლ ძვლებზე,
ისევ სიწმინდე, სიყვარული აციმციმდება,
და ჩვენს ჩანგურზე, დადუმებულ გულის სიმებზე:
ჩვენი სამშობლოს უკვდავება აქვითინდება!..

**დარია ახვლედიანისა.**

## პატარა ფელეტონი

# ერეკლე მეფის მოგზაურობა

ჩვენს მგოსანს კოტე მაყაშვილს ახალი სატირა „ერეკლე მეფის მოგზაურობა“ დაუწერია. პოემა დღევანდელ დღისთვის იმდენად საინტერესოა, რომ ავტორის დაუკითხავად განვიზრახე მისი შინაარსი მოკლედ ჩვენს მკითხველებს გავაცნო. კოტე მაყაშვილს ერეკლე მეფე მკვდრეთით აღუდგენია და თბილისისაკენ გამოუმგზავრებია.

ეს ამბავი თბილისის მცხოვრებთ, ქართველ მოღვაწეთ, პუბლიცისტ-ბელეტრისტებს, ჟურნალისტ-მკურნალისტებს, გეგუთ და „ფიქრის გორასთან“ თავი მოეყარათ. ენის მოსაფხანად ყველას გრძელი სიტყვა მოემზადებინა. ერეკლე იგვიანებდა და ორატორებს მოთმინება ეკარგებოდათ.

მცხეთიდან ამბავი მოიტანეს: მკვდრეთით ამდგარს მეფეს გზაზე კიტა აბაშიძე გადაეღობა და ქუთაისში გაიტაცა, რათა იქ არჩევნებში მონაწილეობა მიეღებინოსო. გრიგოლ რობაქიძე გახელდა და დაიძახა: თუ ეგ ამბავი მართალია, დასავლეთიდან მზეს ამოვიყვან და ყოველ ქართველ ქალს ჰიპნოზით თავს შევაყვარებო. პეტრე მირიანაშვილმა შენიშვნა გაუკეთა: ყმაწვილო, ჰიპნოზით კი არა, უნდა სთქვა შეგონებით-თქო.

ლაპარაკი არ დაეთავებინათ, რომ ერეკლეც გამოჩნდა. წინ სამი პოლიციელი გადაეღობა და პასპორტი მოსთხოვა.

პასპორტი მეფეს არაოდეს არ ჰქონია და არც ეხლა აღმოაჩნდა. საპოლიციო უბანში უპირებდნენ წაყვანას, რომ ამ დროს მეფეს უთხრეს: ეგებ საიქიოდან ორიოდე გროში თეთრი ფარა გამოგყვა, ყველაფერი ქრთამზეა დამოკიდებული: ქრთამი სადგურზე, ქრთამი ბანკში, ქრთამი სკოლაში—აქაც უქრთამოდ ვერ გადარჩებიო.

მეფემ გაიღო რამდენიმე უზალთუნი და გამოუშვეს.

ავტომობილით მოვარდა ხატისოვი და დაიწყო გრძელი სიტყვა: რას შვრებით, რად უშვებთ? განა გამოქცეული სომხები კი ტეულან თბილისში, რომ ახლა მკვდრეთით ამდგრებსაც ბინას აქ აძლევთო? კოწია თუმანიშვილმა გაუღიმა და ალერსით უთხრა: გამოქცეულები ციმბირში უნდა დავაბინაოთ, რადგან ამას რუსეთის სახელმწიფო ინტერესი მოითხოვსო. არჩილ ჯაჯანაშვილი შეხტა და შემოტრიალდა: ვერ უყურებ ამ შოვინისტს საყვარელ მეზობლებს რას უპირებს და კავკასიის ერთა ფედერაციას რა ხიფათს უმზადებსო?

ეს ლაპარაკი არ დაეთავებინათ, რომ პეტრე მირიანაშვილი უკვე ერეკლესთან მისულიყო და ქართულ გრამატიკაზე ეკამათებოდა: „ილიამ ქართული არ იცოდა, აკაკი ხომ ჩიქორთულად ლაპარაკობდა. მე რომ ნება მომცეთ და იმათს ნაწერებს კალამი გაუსვა, სულ ტყავს გავაძრობო. ილია ამბობს: „ცხენიდან გადმოველო“ ეს როგორ შეიძლება: უნდა სთქვან „ცხენზე გადმოველ“ „ჯიბეში ხელი ამოვიღე“. წარმოიდგინე ქართული არც ი. აბულაძეს სცოდნია, მე ვამტკიცებ, რომ რუსეთის დუმა დუმილისგან წარმოსდგება, ეგ კი ამხირებია და მიმტკიცებს „დუმა“ არაბული სიტყვაა და ნამდვილად ცხვრის დუმას ნიშნავსო.

მ. ჯანაშვილი კამათში ჩაერია და მოახსენა: ორივე სცდებით. რუსებს დუმა ვინ მისცა, რუსის ცხვარი უდუმო არისო; კამათი მეტად მწვავდებოდა და რომ ექ. თაყაიშვილს ერეკლესთვის არ ეკითხნა:

— დიდო მეფევ, როგორ მოჰხდა, რომ საიქიოდან ისევ ამ ქვეყნად დაჰბრუნდიო?

— მე საქართველოს მიწაში ვიყავ დამარხული, მაგრამ ქართველმა ფედერალისტებმა სომხეთში ამომაყოფინეს თავი. თავიდანვე პატრიოტი კაცი ვიყავ და სხვის ქვეყანაში რა გამაძლებინებდაო. გიორგი ლასხიშვილი თვალებში ჩააცქერდა და უთხრა: ცოტა რომ მოგეფიქრინათ საფლავში, უკეთესი იქნებოდა; ჩვენ ფედერალისტებს და სომხებს საქართველოს განაწილება არ დაგვისრულებია და ვინ იცის, იქნებ თბილისიც სომხებს დავუთმოთ. მაშინ ისევ გადასახლება დაგჭირდებათ და ამდენი სიარული კი თქვენის ხნის კაცს არ მოუხდებაო.

-- თქვენ ვინა ჰბრძანდებით?

— სოციალ-ფედერალისტი!

— თქვენ?

— სოციალ-დემოკრატი!

— თქვენ?

— ნაციონალ-დემოკრატი!

მეფეს სახე მოეღუშა და დაიძახა: კაცო, ქართველი ვიღაა, ერთი მაჩვენეთო. ილია ნაკაშიძე გამოუძღვა და „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში შეიყვანა. თან ეუბნებოდა: ეს ხალხი, როგორც კოტე ფოცხვერაშვილმა დაახასიათა, დანით რომ გადაფხიკოთ „საქართველოელნი“ გამოვლენ. ეს გახლავთ „სიტყვა“, რომელმაც შენს ტრაქტატში კორექტურული შეცდომა აღმოაჩინა და ბორჩალო-ახალციხის მაზრა, წინააღმდეგ შენი დადგენილებისა, სომხებს გადაულოცა. ეს გახლავთ თევდორე ღლონტი. ქართულ ისტორიაში იმით გაითქვა სახელი, რომ მის გრძელ წერილებს არავინ კითხულობს. ამ დღეებში დასწერა, ხუთტომიანი ახალი გამოკვლევა: „ქალაქის არჩევნები და საპნის ბუხჰალტერია“.

ეს გახლავთ არჩილ ჯაჯანაშვილი. როგორც თევდორე, ისე არჩილიც მარცხნივ და მარჯვნივ კალამს იქნევს. პატარაა ასეთია, გაიზრდება და თქვენც მოგეხსენებათ რაც დაემართება. ეგეც სოსო გახლავთ. რაცხან „საქართველო“ გამოვიდა, ნეკრესის ქარი გაუჩნდა, თორემ კარგი მხედარი იყო და მღვრიე წყალში თევზს არავის აჭერინებდა.

წამოდგა სამსონ ფირცხალავა და მოახსენა: თქვენ, როგორც გატყობთ, სოციალისტი არ უნდა იყოთ, ეს კი მამულისთვის დიდი დანაშაულობაა. საფლავში უნდა მიგეღოთ ჩვენი პროგრამა და სომხებთან ბლოკის შესაკრავად მომზადებულიყავით. ისე თქვენს ყოფნას რა აზრი აქვს.

ის კი იყო უნდა შეეპყროთ ერეკლე მეფე და სოციალიზმის ემბაზში ამოევლოთ, რომ კარი შემოაღო სამსონ დადიანმა და დაიძახა: ეს ვინ შემოგპარვიათ? ეს ხომ „საქართველოს“ ბურჟუა და იმპერიალისტიო.

„საქართველოს“ ხსენებაზე ყველას თმა ყალხზე დაუდგა და წივილ-კივილი ასტეხეს.

უმალ დასტოვა ერეკლემ სახალხოელთა ბინა. ის კი იყო ქუჩაში უნდა გამოსულიყო, რომ ილია ნაკაშიძე უკანიდან კალთაზე დაეჭიდა, შეაყენა „ნაკადულის“ სახელით საბავშვო ლექცია წაუკითხა:

პირველად იყო ინტერნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი იყო კოსმოპოლიტიური, რადგან როდესაც ბავშვი იბადება, იგი განხორციელებაა აბსოლუტურ ინტერნაციონალიზმისა, რაიც ჰუმანიურსა და ინტუიტერ ემოციაში რაციონალურ კონცეპციით აქცედეციად არ ჩაითვლება.

გაშტერებული მეფე ყურს უგდებდა და ვერაფერი გაეგო. ამ დროს მივიდა გოთუა მიხვდა მეფის გასაჭირს და გადაურბილა: ილია ნაკაშიძე ამბობს როდესაც ბავშვი იბადება, დედმამისგან კი არა, მსოფლიოსგან იბადება და მსოფლიოს ეკუთვნისო.

— შენ კი გაიხარე, უეჭველად ქართველი მწერალი იქმნები, რომ ასე ტკბილ ქართულს ლაპარაკობო!..

საიქიოს ამბავი მომიტანეს: ქართველებში ასეთი პარტია გაჩენილა, რომელიც ქვეყნად სამოთხეს აშენებსო.

ერთი მაჩვენეთ, ეგებ მათ შორის მაინც ვპოვო ჩემი თბილისიო.

გაუძღვნენ და „თანამედროვე აზრში“ მიიყვანეს:

— „შვარცი“ მძიმედ დაიძრა და ჰკითხა: ბუფეტის გაფიცულმა მოსამსახურეებმა წარმომადგენლად ხომ არ აგირჩიეს? რა ამბავია, ხელფასს არ უმატებენო?

რედაქციაში ეშმაკს და თაგუნას გარშემო ხომერიკი, რამიშვილი, ლადო ახმეტელი და სხვა მსოფლიოსთვის მგოდებელნი და მებრძოლნი შემოხვევოდნენ და გულიანად იცინოდნენ. თურმე ეშმაკს ქუთაისიდან დეპეშა მიეღო:

„ახალგაზრდა გაფუტურებული პავლე იაშვილი დღისით-მზისით სრულიად შიშველი გარედ გამოვარდნილა. ზურგზე დარიანი ჰკიდებია. გრიგოლ ლაღიძე ალტყინებაში მოსულა და ისიც იმათ კვალს მიჰყოლია. აუარებელი ხალხი პროტესტით უკან დასდევნებია და საგიჟეთში ჩასხმა მოუსურვებია. ხალხის ასეთს პროტესტს კიტა აბაშიძე ისე აუტაცნია, რომ „მეგობარში“ მოწოდება დაუსტამბავს: „გონს მოდით! ეგ ხალხი გიჟები ტყუილად გგონიათ, ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულება შეაქვთო“.

ეშმაკი ამას უკითხავდა და სხვები ხიოხითებდნენ.

ერეკლე მეფე აჩეიკაში ჩასწერეს და გამოისტუმრეს. აქედან პირდაპირ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაკენ გაემართნენ. ნახეს წ. კ. საზოგადოებას ბალიშზე თავი წამოედო და ხვრინავდა. ერეკლემ აჰხედ-დაჰხედა და სთქვა: ეძინოს, ეძინოს! ჩემსავით მგზავრობისაგან დაღლილი იქმნებაო.

შუაღამე უკვე მოახლოვებულიყო მეფე სიმშილს შეეწუხებინა. არავინ ჰპატიჟებდა. გასწიეს ახალ კლუბისკენ; გზაში მამასახლისები გადიეღობნენ: შენი შეშვება კლუბში არ შეიძლება, წადი ფრაკი ჩაიცვიო. ნაწყენი მეფე უკან გამობრუნდა; მოდიოდა მთავრის ქუჩაზე და ბუტბუტებდა: „ეს რა ხალხში მოვხვდი, ნეტა მკვდრეთით არ ავმდგარიყავო“.

იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა: წავალ ქუთაისში, ეგებ იქ მაინც „კაცი ვპოვო, აზრი ჩემი გავუზიაროო„.

**გარდანქეშანი.**

# თეო კი სტიროდა!..

კოტე საქმიაშვილი მოულოდნელად გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

ის ერთ მდიდარ სასტუმროში მსახურებდა ქალაქში ხელზე მოსამსახურედ. ამით არჩენდა ცოლ-შვილს, მოხუც მშობლებს და ზრდიდა სკოლაში ორ უმცროს ძმას.

მისი ჯარში გაწვევის შემდეგ კი ძმებიც სკოლიდან დაითხოვეს და კოტეს ცოლი თეოც იძულებული შეიქნა თავის ხელით ერჩინა ორი პატარა შვილი და თავის თავი.

დიდი თხოვნა-ვედრების შემდეგ ის იმავე სასტუმროში დადგა მოსამსახურედ, სადაც მისი ქმარი მსახურებდა; ბავშვები კი მშობლებთან გაგზავნა, სოფელში რადგანაც ერთსა და იმავე დროს სხვისი სამსახური და შვილების მოვლა აღარ შეიძლებოდა.

თუმცა ბევრი ცრემლები დაღვარა მან ბავშვების მოშორებაზე, მაგრამ უამისობა არ ეწყობოდა.

თეო დღე და ღამეს აერთებდა სასტუმროში მუშაობით: სწმენდდა, ალაგებდა, ასუფთავებდა და ყურს უგდებდა მთელს სასტუმროს. ხუმრობა საქმე როდი იყო [illegible] სასტუმროში მუშაობა.

შრომის ფასად კი თეოს თვეში ხუთმეტი მანეთი, ბინა და საჭმელ-სასმელი ეძლეოდა. სასტუმროში თეოს გარდა ასამდე კაცი და ქალი მსახურობდა. უფროსების მოპყრობა ხომ აუტანელი იყო... არავითარ წესრიგს არ ქონდა იქ ალაგი: შუა ღამისას, ვეებერთელა შენობის ქვემო სართულში თუ მიიძინებდა თეო, ისიც ტანზე გაუხდელად, სადაც მზის სხივი არასოდეს არ ჩადიოდა და ამის გამო ოთახში საშინელი ნოტიო იყო. მათი სადილი კი ნახარშა ძვლების ნარჩენი წვნისა და პურის ქერქებისაგან შესდგებოდა...

ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ ასეთი ბინის დ კვების, მაგრამ ხმის ამოღებას და პირობების გაუმჯობესების მოთხოვნას კი ვერავინ ბედავდა, თუმცა დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი „ხაზეინი“ ყოველ დღიურად ორას მანეთამდე მოსაგებს ღებულობდა. ასე დაეშინებინა ამდენი ქალი და კაცი სასტუმროს უფროსს არტემ უტიფარიძეს.

2.

ბინისა და საჭმელის უვარგისობასთან ერთად, სასტუმროში ვერც ზნეობრივი მხრით იყო საქმე კარგად მოწყობილი... ამდენ მოსამსახურეებში ორი კაცი თუ ერია შეგნებული და გაზეთებ-წიგნების კითხვის მოყვარული. თვით უტიფარიძეც დიდი მტერი იყო განათლების და მოსამსახურეებს სასტიკად უკრძალავდა კითხვას.—ეგაა ხალხს რომ რყვნის... გაზეთის და წიგნის კითხვა მოცლილი ხალხის საქმეაო, ამბობდა ის.

სამაგიეროდ სასტუმროში ხშირი იყო კამათლის, კარტის თამაში და არშიყობა... თითქმის ყველა უცოლშვილო მოსამსახურეს ყავდა საყვარელი, აქვე სასტუმროში, ან კერძოთ... ამის წინააღმდეგი არც არტემ უტიფარიძე გახლდათ. თუმცა აქვე ცხოვრობდა მისი ცოლი, ამავე სასტუმროში მას ორი საყვარელი ჰყავდა...

თვალი რჩებოდა აგრეთვე თეოზედაც, მარა ჯერ ვერაფერს უბედავდა.

მომაღლო ტანის, ხშირ თმიანი, შავთვალ-წარბა, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა თეო სუფთად ჩაცმული, თეთრი წინსაფარით და ღია გამომეტყველებით სტუმრებსაც კი მოსწონდათ.

— ას მანეთიანს მივცემ, თუ მაგ გოგოს ერთ ღამეს მომიყვანო, უთხრა ერთმა სამხედრო პირმა მოსამსახურეს და მასაც საჩუქარი შეპირდა, მაგრამ თეოსათვის ამის თქმა ვერავის გაბედა. ბოლოს ისევ უტიფარიძემ მისცა მას წინადადება...

3.

წითელი პარასკევი იყო, სალდათის ბაზარში აუარებელ ხალხს მიეყარა თავი. გავლა აღარ შეიძლებოდა.—გამყიდველების ყვირილი, გოჭების და ბატკნების ჭყივილი ერთი მეორეში ირეოდა. ყურთა სმენა აღარ იყო. ვინ ინდაურებს, ქათმებს, შეღებილ კვერცხებს, ლორს და ვინ რას ყიდულობდა. ყველანი სააღდგომოდ ემზადებოდნენ. აქვე იყვნენ უხელ-ფეხო მათხოვრები და ჩაკონკილ-ჩაღლეტილი გამოქცეულებიც...—მოიღეთ მოწყალება... ღმერთი ბევრ აღდგომას დაგასწრებთ... გვაჩუქეთ ერთი კაპიკი—ხელ გაწვდილი მისდევდნენ ისინი ხან ერთს, და ხან მეორეს.

— Проклятіе... чертъ васъ побралъ, გზაზე აღარ მიშვებენ—წაილაპარაკა ერთმა ჩასუქებულმა ცილინდრიანმა და ძლივს იქვე მდგომ საკუთარ ეტლამდე მიატანა ნაყიდებით ხელში. ეს იყო არტემ უტიფარიძე. დილა ადრიან, ათი ბიჭით გამოვიდა დღეს ბაზარზე და კიდევ ვერ იყიდა ყველა ის, რაც უნდოდა.— ოცი ინდაური, ამდენივე გოჭი, ასამდე ქათამი, ათასამდე კვერცხი. აბა რას უზამს ჩემს სტუმრებს... Черть побери, გადირია ხალხი... შვიდ მანეთ ნაკლებ არ მომცეს ინდაური—ოფლის წმენდით ეუბნებოდა ის თავის ცოლს.

— პასკები არ გაგვიფუჭდეს, უმთავრესი საქმე პასკებია—სთქვა მან და ფურნის განყოფილებაში გაეშურა.

— საქმე კარგად გახლავს, ბატონო, ყველა მშვენივრად ამოვიდა. ასეთი პასკა მთელ ქალაქში არავის ექნება წელსაო, ეუბნებოდა მას თეთრ ხალათიანი, დამკლავებული მზარეული, რომელსაც მეტის-მეტი სიცხისაგან მოპარსულ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. აქვე იყვნენ რამდენიმე მოსამსახურე გოგოები, რომლებიც თვალებში მისჩერებოდნენ „ხაზეინს“, იქნება გვიბრძანოს რამეო. არტემმა მათ შორის თეო ვერ შენიშნა.

— ყველას რომ აქ მოგიყრიათ თავი ნუ თუ საქმე გამოგელიათ, ეხლავე ჩამოვიარე ყველა ოთახებს, სარკესა-

ვით უნდა იყოს დაკრიალებული. თეო სად არის?—შუბლის შეკვრით იკითხა მან.

— თეო, ბატონო, ავათ გახლავთ— მიუგო ერთმა.

— რა დაემართა?

— საპასკე „ფორმის“ აწმენდის დროს „ეშტზე“ ხელი შეაჭრა და ძლიერ სტკივა, ქვევით არის ოთახში.

— ეხლა უთხარით ჩემთან ამოვიდეს მეოცე ნომერში—გასცა მან ბრძანება და თითონ ნელის ნაბიჯით გასწია მეოცე №-ში.

ნუ თუ გაბედავს და უარს მეტყვის ფიქრობდა ის—ყოველშემთხვევაში სიფრთხილით უნდა მოვეპყრა თორემ სირცხვილია, მოსამსახურე გოგოზე რომ გავწბილდე—ფიქრობდა ის და სქელ ტუჩებს მსუნაგი ღორივით აწლაკუნებდა, რომ ამ დროს კარი გაიღო და თეო შემოვიდა. თვალები ნამტირალევი ჰქონდა, მარჯვენა ხელი გულზედ ეკიდა, წაბლის ფერი თმა ჩამოშლოდა და თეთრ ლოყებს ოდნავ უფარავდა. მოწყენილი თეო კიდევ უფრო მოეწონა არტემს.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო?— ნელის ხმით შეეკითხა ის არტემს.

— გიბრძანებ?!.. მე ყველას როდი უბრძანებ, ჩემო თეო—ღიმილით მოუახლოვდა თეოს არტემი.

— რატომ, მე ხომ მოსამსახურე ვარ, თქვენ კი ბატონი, უმცროს-უფროსობა ღმერთმა გააჩინა.—სთქვა ეს და დაიჭმუხნა. ეტყობოდა ხელი ძლიერ სტკიოდა.

— ეს მართალია, მაგრამ შენ და სხვაი ერთი არა ხართ... შენ ეს მითხარი, რა დაგემართა ხელზე?

— მტკივა, ბატონო, პასკების ფორმების წმენდის დროს გვიჭარი და მკლავს... ეს მეორე დღეა, სული ამომდის...

— აბა მაჩვენე—თეომ ხელსახოცს მოაშორა ხელი და არტემმა, ვითომ დიდი გამოცდილი ექიმი იყო, სინჯვა დაუწყო. მაჩვენებელი თითი ფრჩხილთან იყო გაჭრილი და თან საკმაოდ გასიებული, მარა არტემი ამას არც-კი აქცევდა ყურადღებას... ის თეოსაკენ იხრებოდა ვითომ შეუმჩნევლად, თავი თავზე მიადვა და ერთი გაიფიქრა ვაკოცებო, მაგრამ თეომ უკან დაიხია და არტემმაც არ შეიმჩნია ისე სერიოზული სახე მიიღო.

— ამას წამალი უნდა ეხლავე. მე ფერშალს გამოგიგზავნი. შენ დღეიდან ამ ოთახში გექნება ბინა, ჯამაგირიც მეტი გექნება. შავ მუშაობას თავი დაანებე, დანარჩენ გოგოებს თვალყური ადევნეო—უთხრა მან თეოს და ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

თეო სახტად დარჩა. ვერ გამორკვეულიყო, თუ რაში იყო საქმე. ყველა ეს სიზმარი ეგონა, ნუ თუ არტემ უტიფარიძე მპირდება ამას!.. მაგრამ ვინ იცის, შეიძლება შევებრალე ამ მდგომარეობაში რომ მხედავს, რაც უნდა იყოს, მეზობელია და მერე ჩემი ქმრის ბავშვობიდან ამხანაგი. ეხლა კი მე და ჩემი ქმარი მოსამსახურე და ეს კი ბატონი... ნეტავი ომში არ იყოს და აქ სამსახურს ვინა ჩივის... ალბად დიდი ჭკუიანი კაცია, რომ ამდენი ქონება შეუძენია... ოხ ერთი ჩემი პეტრე და ვალენტინა მომცა აქ... როგორ მენატრება ჩემი ანგელოზები. ვაი თუ შიათ ან სწყურიათ... საბრალო კოტე!.. როგორ გენატრება შენ ეხლა ისინი... ზეგ აღდგომაა... ყველანი ბედნიერ დღეს შეგება... ჩვენ კი... როგორ დაბნეული ვართ... ვაი დედა... მოვკვდი... ხელი... მოვკვდი... ქვითინებდა თეო და ფერშალს უცდიდა.

4

არტემ უტიფარიძე ს. გლეხის შვილი იყო. ორკლასიანი სასწავლებლის გათავების შემდეგ კოტე საქმიაშვილი და ის თითქმის ერთ წელიწადში წამოვიდნენ ქალაქში. არტემი იმ თავითვე სასტუმროში დადგა. სამი ოთხი წლის შემდეგ ისე გამოეჩვია ის ამ საქმეში, რომ თითონ მოჰკიდა ხელი „ხაზეინობას“. პირველად პატარა სასტუმრო აიღო, შემდეგ უფრო უკეთესი, 25—28 წლის რომ შეიქნა მდიდარი სომხის ქალი შეირთო და ამნაირათ გუშინდელი გლეხის ბიჭი დღეს ქონების პატრონი შეიქნა. თუმცა მას ზოგიერთში არ ემადლიერებოდნენ: მეტის მეტი ფულის მოყვარული კაცია და სხვა ღირება მაში არაფერიაო, მარა ამავე დროს პირადათ ყველა მოწიწებით იხსენიებდა და პირს უკან თუ ვინ რას ამბობდა, იმას არტემი არ უწევდა ანგარიშს. плевать на всѣхъ...—ფული იყოს და ვისაც რა უნდა ის სთქვას და წეროს ჩემზეო, იტყოდა არტემი ზოგჯერ გაჯავრებით, როცა ვინმე რაიმე შენიშვნას გაუკეთებდა. იმას მდიდარ არისტოკრატიასთან ჰქონდა საქმე და ღარიბები თვალის დასანახავადაც კი ეჯავრებოდა. თუმცა ამავე დროს ზოგჯერ პატრიოტიც იყო, ქართველის ქებას თუ სადმე გაიგონებდა ესიამოვნებოდა და ისედაც ჩასუქებულ მუცელს კიდევ უფრო წამოსწევდა წინ. და ჩამრგვალებულ პირის სახეზე სიამოვნების ღიმი აუთამაშდებოდა. ქართული არ სძულდა, მაგრამ ლაპარაკით კი ხშირად რუსულად ლაპარაკობდა. მუდამ შრომობდა, ყველაფერი თითქმის თავის ხელით უნდოდა გაეკეთებინა. სასტუმრო ევროპიულ გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მიტომაც იყო ყველა მდიდარი არისტოკრატი მას ეტანებოდა. ფული ბევრი ჰქონდა და ქონება, ცოლი ჰყავდა და შვილები. რომ გეკითხა ბედნიერი იყო, მაგრამ რაღაცა მაინც აკლდა...

დღეს კი ერთად ერთი მიზანი იყო მისი: აღდგომას კარგად შეხვედროდა და თავისი სასტუმროს მდგმურების გაეძღარ-ებინა, არაფერი მოეკლო მათთვის, რისთვისაც სამაგიერო ჯილდოს ელოდა იმათგანაც! მეორე მიზანი კი, საიდუმლოება იყო... ფიქრობდა თეოც საიდუმლოთ შეინახვიდა მას, თუ კი ყველა იმას აუსრულებდა რასაც დაპირდა...

5

დაჰკრა თუ არა ღამის თორმეტმა საათმა, თითქოს შეპირებულნი იყვნენო, ურიცხვმა ეკლესიის ზარებმა სხვა და სხვა ხმებზე შექნეს რეკა.

— ტაკი... ტუკი... ტაკი... ტუკი... —გაჰკიოდნენ პატარა ზარები.

— გააამ... გააამ... გააამ...—ბანს აძლევდნენ დიდრონები.

ახმაურდა დროებით ჩაძინებული ქალაქი... გაცოცხლდა მიყუჩებული ქუჩები... ავტომობილები, ეტლები და ველოსიპედები ერთი მეორეში აირია. ფართე ქვაფენილებზე კვლავ გაიშალნენ ნაირ-ნაირ მოდებში გამოწყობილნი ქალ-ვაჟნი, ყმაწვილები და მოხუცნი, მათ სახეზე მხიარულება და კმაყოფილება იხატებოდა. ჟრიამულით და სიცილ-კისკასით, წითელი კვერცხით ხელში სხ. და სხ. უბნის ეკლესიებში მიეჩქარებოდნენ, სადაც მგალობელთა გუნდი „ქრისტე აღდგას“ გუგუნებდა. წინა დღით საგანგებოდ დაფერილ ხატებს კი უთვალავ სანთლების შუქზე ოქრო ვერცხლის ფრად ლაპლაპი გაჰქონდა.

— ქრისტე აღსდგა!..—დაიძახა ხმა მაღლა მღვდელმა.

— ჭეშმარიტად აღსდგა—გამოეხმაურა ერთხმად ხალხი.

— ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა... დასძახა მგალობელთა გუნდმა...

ზარებიც სხვა და სხვა ხმით კვლავ მოუწოდებდა ხალხს და აცნობდა ბედნიერი დღის გათენებას...

წირვაც გათავდა... ისინათლა... დიდებულმა მნათობმაც მიულოცა ქვეყანას ბედნიერი დღესასწაული. მისი ოქროსფერი სხივები განურჩევლადშეიჭრა მდიდრულად მორთულ სალონებში, რომელთა ძვირფას მაგიდაზე დიდრონი პასკები, შემწვარი ბატკნები, ინდაურები, გოჭები ამშვენებდა და ღარიბების ქოხმახებში, სარდაფებში კი წითლად შეღებილი კვერცხებიც კი არ იყო...

ოქროს ფერი სხივი სტყორცნა აგრეთვე არტემ უტიფარიძის ფართე ოთახში გაშლილ, მშვენივრათ გაწყობილ მაგიდას, რომელსაც გარს შემოსხდომოდნენ სტუმრები და შამპანიურით სავსე ჭიქებით ხელში არტემის სადღეგრძელოს მიირთმევდნენ, ხოლო სიმებიანი ორკესტრი მრავალ ჟამიერს უკრავდა...

მზის სხივებმა ვერ იპოვნეს მხოლოდ თეო... ის სასტუმროს ქვემო სართულში ჩამოსულიყო და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა... მას ცალკე ხელის ტკივილი სტანჯავდა და თან ის შეურაცყოფა, რომელიც მიაყენა მას მისმა „ხაზეინმა“ არტემ უტიფარიძემ... თუმცა ვერაფერს გახდა. არტემმა მხეცური ჟინი ვერ დაიკმაყოფილა და თეო, დიდი ბრძოლის შემდეგ გაწბილებას გადარჩა, მაგრამ მაინც შეურაცყოფილათ და უბედურ ადამიანათ გრძნობდა თავს... უნდა გასცლოდა ამ წყეულ ალაგს, ხოლო სად წასულიყო და ვისთვის მიემართა, არ იცოდა.

ქვეყანა ხარობდა, მხიარულობდა... თეო კი სტიროდა...

**ს. რემონიძე.**

# სიტყუა

**თქმული შალვა ქარუმიძის-მიერ ქ. ოზურგეთში, სასოფლო-სამეურნეო საზ. კრებაზედ, 3 აპრილს.**

ეროვნული დემოკრატიის ორგანო „საქართველო“ გურიას ახალ გზას, „სამეურნეო საზოგადოების“ დაარსებას ულოცავს.

დღევანდელს განსაკუთრებით უმაგალითო ხანაში, როდესაც ქვეყანა სისხლით ილვება და ხალხი უკანასკნელს ძალას იკრებს, რათა ხსნა ჰპოვოს, სამეურნეო საზოგადოების დაარსებას აქ, გურიაში, განსაკუთრებითი მნიშვნელობა ეძლევა. ერი უფლება ახდილი, ასეთ განსაცდელში ჩავარდნილი, ვერ შეურიგდება თავის ბედს.

დღემდისაც ჩვენი ერი უფლების მაძიებელი, მისთვის მებრძოლი იყო, დიდი მსხვერპლიც შევსწირეთ მათ. განვიცადეთ ყოველგვარი უკიდურესობა და მის სამსხვერპლოზედ მივიტანეთ უძვირფასესი განძი—სიცოცხლე მამულიშვილთა. ციმბირი ქართველ მებრძოლთა ძვლებით გავაპოხიერეთ. სიმართლის მოყვარული, სიბოროტის მოძულე, მუდამ ფხიზელი და გრძნობიერი გურია მუდამ პირველ რაზმში იდგა ამ დიდი „ძიების“ ხანას ჩვენი ქვეყანა დღეს განაგრძობს გაორკეცებულად ბრძოლას უკეთეს მერმისისათვის.

მაგრამ, დღეს სხვა სახე და იერი აქვს ამ ბრძოლას.

მღელვარების ხანამ და იდეათა სრბოლამ დაილეკა და ჩვენი ერის მსვლელობასაც დადებითი და გარკვეული ხასიათი მიეცა.

ერმა, თითქოს, კვლავ იცნო თავი და საქმიანობის ძლიერი მოძრაობით ირაზმება იმ დოვლათის დასამუშავებლად, რასაც შეუნახავს ჩვენი ერი მუდამ ჟამს და შეინახავს მას მომავალშიაც შესაფერისად თანამედროვე ცხოვრებისა.

და, აი, ამ საერთო, საქვეყნო მოძრაობის დროს დღევანდელი მოვლენით, „სამეურნეო საზოგადოების“ დაარსებით, გურია ხმა მაღლა აღიარებს, რომ მას თავისი საპატიო ადგილი კვლავ ღირსეულად უჭირავს და ერის აღორძინების დროს მებაირახტრობას არა ჰკარგავს.

თუ აარსებთ დღეს „მეურნეთა საზოგადოებას“ წმინდა პრაქტიკულის მიზნით, არა იმიტომ, რომ უარი სთქვათ იმ დემოკრატიულ იდეალებზედ, რომელნიც ასეთ მომხიბვლელს და უკვდავებას სულს უდგამდენ, უზენაესი მიზანნი მსჭვალავდა თქვენს ფიქრს და ლტოლვილებას უკეთესს მომავლისაკენ, არამედ აარსებთ იმიტომ, რომ უფრო მახვილი უტყუარი და ფოლადი იარაღით აღიჭურვოთ ამ კეთილი მომავლის დასამყარებლად.

თქვენი, დღეიდან უკვე განხორციელების გზაზე შემდგარი, მიზანია—მოჰფინოთ წალკოტი გურია ჩაის პლანტაციებით, ლიმონ-ფორთოხლის ჭალებით, შესცვალოთ წესი შრომისა ანუ ტეხნიკის და სამეურნეო ცოდნის წყალობით შრომა გააევროპიელოთ და განაყოფიეროთ, წარმოების და მრეწველობის განვითარებით საერთაშორისო მეურნეობაში ჩაებათ და მსოფლიო შემოქმედებითაც გონიერად ისარგებლოდ ჩვენი ერის წასამართად —ყველაფერი ეს მოწმეა იმისა, რომ თქვენ მხოლოდ ახალი, მაგრამ უფრო უტყუარი გზა აგირჩევიათ.

თქვენივე მიზანია, დღევანდელ საზოგადოების დედა აზრი, შესცვალოთ წესი აღზრდისა, გაავრცელოთ საჭირო სამეურნეო ღ პროფესიონალური სწავლა-განათლება, რაიც აღზრდის თაობას ღირსეულს მოსარჩლეს და შესაფერს იდეოლოგს ამ დაწყებული მხსნელი საქმიანობისაა.

მხოლოდ მაშინ მოისპობა თანამედროვე „სხვისი ხელის შემაყურებლობა“, უიმედობა და მონობა აზროვნობაში, უილაჯობა და უსარისტობა ცხოვრებაში.

მხოლოდ, ამ გზით შეიქმნება ყოვლის მძლეველი რწმენა საკუთარი ძალისა, რწმენა ერის ძლიერებისა, მხოლოდ მაშინ დაიწყებს განხორციელებას უდიდესი პრინციპი: „ჩვენი თავი ჩვენ თვითონ გვეყუდნოსო“. საკუთარ საქმიანობაში აღზრდილი, დამოუკიდებელი კლასი ერს, უფლება-ახდილს, უფლებას დაუბრუნებს, როგორც ეს ხდება იქ, სადაც ძლიერია ამგვარი მოძრაობა.

აი, ამ დღისაკენ იცქირება დღევანდელი ჩვენი ზრახვა.

აი, ამ გზას დაადგა უკვე თითქმის ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა. კოოპერაციათა და სხვა და სხვა საზოგადოებათა შექმნით მკვიდრი საფუძველი დაუდო მომავალ ბედნიერებას.

შორს არ არის დღე, როდესაც ცალცალკე დარაზმული კუთხენი ჩვენი ქვეყნისა საერთო ეროვნულ კავშირში შედუღდებიან. და მაშინ ერს, წინმსვლელობისა და პროგრესის უძლიერეს სტიმულებში—შრომისა და კერძო საკუთრების სიყვარულში და პატივისცემაში—აღზრდილს, ერს ეკონომიურად ძლიერს და აღორძინებულს, ერს ამაყს თავისი ნამოქმედარით, წინ აღარა დაუდგების რა!

იგი თვით შეიქნება მჭედელი საკუთარი ბედისა!

აღორძინებას და ზეიმს ეკონომიურს უეჭველად მოჰყვება ზეიმი და აღორძინება კულტურული და პოლიტიკური. და აი მაშინ, მხოლოდ მაშინ ერი თავისუფალი სულით და დამოუკიდებელი ქონებით შესძლებს უკეთილშობილესს მამულიშვილობას და ღირსეულ თანამშრომლობას და ძმობის სხვა ერებთან.

ასეთი ბრძანება ისტორიის ბედისწერისა. ღრმათ დარწმუნებული, რომ ეს ბედნიერი დღე ამ გზით უნდა გავვითენდეს და არც ისე დაგვიანებით უნდა გაგვითენდეს იგი, „საქართველო“ კვლავ გილოცავთ „სამეურნეო საზოგადოების“ დაარსებას და აღგითქვამთ თავის მხრივ სიტყვით და საქმით სამსახურს, სამსახურს მოურიდებელს და რწმენით სავსეს. დღეს კი უსურვებ „საზოგადოებას“ გამარჯვებას, წუშაკთ კი ერთსულოვნობას, სიყვარულს და ყოვლის დამთრგუნველს რწმენას საქმისადმი.

# ომის გარშემო

## 1. ზოგადი მიმოხილვა.

არ ვიცი როდის, ან რომელ თხზულებაში წავიკითხე ფრანგული აფორიზმი, რომელიც დღესაც არ წარშლია ჩემს მეხსიერებას, ეს მშვენიერი მარგალიტიც:

„L'avenir—fantome aux-vides,
Qui promet tout et n'a rien“.

თუ ოდესმე ახდენა ჰქონებია ამ აფორიზმს, რომ მომავალი ლანდია, ცარიელ ხელგაშვერილი მოჩვენება, რომელიც ყოველისფერს გვპირდება და ნამდვილად კი არას იძლევა, იგი წინასწარმეტყველურ სისწორით აცხადდა დღეს და ჩვენი გლეჯა-ფლეთის საუკუნის ამხატველ ეპიგრაფად აღინიშნა. და მართლაც: არსად და არას დროს მთელი ერები, ძლიერი სახელმწიფონი, ლამპარნი ქვეყნიერებისა ისე არსად მოუხიბლნია ამ მომავლის ლანდის თინათინობას, ისე არას დროს გამოუსულელებია ცრუ აღთქმებით მთელი მსოფლიო, როგორც დღეს. საფრანგეთი, ინგლისი, ბელგეთი, რუსეთი და სხვანი ერთის მხრით ბედნიერ ფორტუნას ყურებაში გაერთვნენ, მისი აღთქმანი ყურად იღეს, მთლად გამობრუვდნენ, ეგონათ, ოქროს თასს ერთის ხელის მოსმით გამოვცლითო. მიტომაც ბრძოლის ზავთიანს ყიჟანზე პირველ ღაფღაფის დაკვრისთანავე ეს წმინდა კავშირის უწმინდესი წევრნი წინდაწინვე დღესასწაულობენ დიდი გერმანეთის წამოქცევას, მხოლოდ იმ რწმენით და იმედით, რომ ფერფლისა და ნგრევის წიაღიდან ამოაბრწყინებდენ ახალს ლამპარს სამართლიანობისას, გარდაშლიდნენ სიბრძნის წიგნს და ქვეყნად დაამყარებდნენ კეთილდღეობის დღესასწაულს.

ასეთივე მათრობელა ნექტრით გაბრუებულ იქმნა თვით გერმანეთი. ფორტუნა მასაც უქადის გამარჯვებას. იგი დარწმუნებულია, რომ სიმართლე, ეს ყოვლად საეჭვო ცნებათა ცნება, მის მხარეზეა, მარსის მფარველოვის ქვეშ ჯავშნიან მუშტით შემუსრავს მეტოქეებს, წყეული მორტირებით გადაანგრევს საფრანგეთს, დიდ ოკეანის ზვირთებში ჩანთქავს ბრიტანიის ციხე-ქალაქად მოსრიალეს მათ დრედნოუტებს და პირამიდად აღმართულ ჩონჩხთა ზედადგარზე დაადგავს ოქროს ტახტს უკვდავებისას, რათა შემდეგში თავის განსაცვიფრებელი ტეხნიკის წყალობით შექმნას და გააშენოს ახალი ქალაქნი, ახალი ცხოვრება, ბრწყინვალე მომავალი დიდი გერმანეთისა, თუ გნებავთ „უზენაესი გერმანეთისა“, რომლის ბადალი ქვეყნად არც ერთი იქნებოდა. აი, ამიტომ იყო, რომ გათამამებული მხედრობა მქუხარე რაინის ზვირთთა თამაშთან ერთად ამაყად გაიძახდნენ ახალს დევიზს, დევიზს საშვილიშვილოსას: „Deutschland, Deutschland über alles!“ ამით ყოველისფერი ითქვა. ახალგაზრდა გერმანელთათვის გერმანეთი არა თუ უზენაესია ყველა სახელმწიფოთა შორის, არამედ იგი შემცნებაა ყოველი სიწმიდისა, რაიც განანათლებს ყველას. გერმანეთის რჩით აღარ არსებობს სხვა რამ კარგი. ყველა მას უნდა ენაცვალოს. რას მიქვიან უფლება, მოვალეობა! ომი ომია, მტერი მტერია! ყოველისფერი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ყოველისფერი მისი განდიდებისთვის!

ასეთ ოცნებამ წარიტაცა ყოველი მხარე. რაც მოხდა, თქმა არ უნდა, უნდა მომხდარიყო კიდეც. ამას მოითხოვდა ყველას თავზე გამომკრთალი მოკისკისე ლანდი მომავლისა, ამას მოითხოვდა მისი უზენაესი სურვილი და მიტომაც თვითეული მხარე ჩუმად, ფარულად თუ აშკარად ემზადებოდა ამ სამარსო დღესასწაულისთვის, იარაღს სჭედდა, მახვილს ქარქაშში ვერ იტევდა. ომს მოელოდნენ და განგებ კი არა სჯეროდათ. საერთაშორისო პოლიტიკა ბინძურ ხელის ფათურს მოჰყვა და ძიობა დაიწყო თუ სახელდობრ „რამ“ ანუ „ვინ“ გამოიწვია ომიო, ეს ომი, რასაც ასე რიგად ეტრფოდნენ, სიზმრად თუ ცხადად ელოლიავებოდნენ, განდიდებისთვის, მომავალის ხელთ დასაპყრობად!

მაგრამ მოხდა ის, რაც ყოველთვის ზღაპრებში ჰხდება: აღთქმანი ცრუ აღთქმებად დარჩათ ყველას. ამას ჰხედევენ მებრძოლნი მხარენი, ჰხედავენ, მაგრამ თუ ხელი ვერ აუღიათ განზრახვაზე, არა იმიტომ, რომ ძველი ფორტუნის წაქეზებისა სჯეროდეთ რამე, არამედ იმიტომ, რომ სირცხვილი აწუხებს ყველას. ჟინმა გადაჰლახა კეთილგონიერება. ბატონი ჟინი დაეუფლა თვით ფორტუნასა!

მიუხედავად ამისა, უნდა გულახდილად შევნიშნოთ, რომ დღემდე რაც მოხდა, ხელსაყრელი გერმანეთისთვისაა. ჩვენს წინ სინემატოგრაფის ლენტის სისწრაფით გაირბინეს ისეთ ამბებმა, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ იშვიათ მოვლენას შეადგენდნენ და ისეთს გენიოს სარდლების სახელებთან არიან დაკავშირებული, როგორიც გახლავთ ჰანიბალი, იულიუს კეისარი, ცეზარ ბორჯია, კარლოს დიდი, ნაპოლეონი და სხვანი. გერმანელთა, მართლაც, განსაცვიფრებელი ლაშქრობანი პირველ ხანებში მარნამდე, შემდეგ კალესაკენ გალაშქრება, გალიციის ეპოპეა, რუსეთის პოლონეთის გადმოქელვა, დარდანელის სახელოვანი ბრძოლანი, ბოლოს სერბეთ-მთაშავეთის განადგურება და ახლა კიდევ ვერდენის თავხედური ოპერაცია გერმანელთა ფოლადის წვერზე ათამაშდა, ჯერ მათ სძლონის სალამს, ვიდრე ეს ტოლედოს ნაჭედი მახვილი უეცრივ არ გარდაემსხვრევათ...

მაგრამ შევჩერდეთ. ისტორია სხვა დროსთვის იყოს, ახლა გავეცნოთ ბრძოლის პირთა სხვა და სხვა მხარეს.

## 2. კავკასიის ასპარეზი.

ჩვენთვის, როგორც კავკასიონის შვილთათვის, ყველაზე საინტერესო ეს ასპარეზია. როგორც ვიცით, ამ ასპარეზზე ახმაურება გამოიწვია ოსმალეთის ომში ჩარევამ. იგი ჯერ კიდევ 1914 წ. დამლევს მიემხრო გერმანეთს. პირველად ისეთი შთაბეჭდილება გამოჰქონდა ყველას, თითქოს ამ მხრით დიდი ამბების მოლოდინი არ უნდა გვქონოდა. ყოველ შემთხვევაში აქეთ ბრძოლას გარდამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებაო და ამიტომაც რუსის შტაბი მაინცა და მაინც დიდს ყურადღებას არ აქცევდა ამ ასპარეზს. შტაბს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული ჰქონდა ადგილმდებარეობის სიმკაცრე, გაუვალი ადგილები, რაიც დიდ ჯართა გადაყვან-გადმოყვანას აძნელებს. პირველ ხანებში შტაბს თითქოს უცხადდებოდა ასეთი განჭვრეტა. რამდენიმე ხნის განმავლობაში კავკასიის ასპარეზი სდუმდა, მეტ წილად ორთავე მხარე პასიურ მაყურებლის როლში გამოდიოდა. ხანგრძლივი უმოქმედობის პერიოდები ათასში ერთხელ თუ ირღვეოდა სწრაფი და ქარიშხლისებური ტემპით. ბრძოლის პირი უეცრივ იცვლიდა სახეს და ყოველ დღეს რომელიმე მხარისთვის მოჰქონდა სარგებელი ვრცელი მანძილის დაპყრობით. საოცარი ის უფრო იყო, რომ ასეთი სწრაფი წინსვლა და ლაშქრობანი მეტ წილად ზამთრობით ხდებოდა. ხშირად ბრძოლას გადამწყვეტი სახეც კი მიუღია. ვის არ ახსოვს, მაგალითად, ენვერ ფაშის თამამი გეგმა, სარიყამიშისა და ყარაურგანის ისტორიული ომები, რაიც საბოლოოდ რუსთა მხედრობის სასარგებლოდ დამთავრდა! თითქოს ეს მარცხი იყო ნიშანი ახალის ლაშქრობისა, ამ დღიდან თვით რუსები იწყებენ წინსვლას და შეტევას. 1915 წლ. ზამთარი და ამ წლის პირველი ხანები საშინელი შეტევით აღინიშნა. რუსთა მხედრობამ შეანგრია ოსმალთა ლაშქრის ცენტრი. ოსმალებმა აზრუმის ციხეს შეაფარეს თავი. მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე. გენერალი იუდენიჩი ნაპოლეონის ტაქტიკას დაადგა და გამხეცებულთ აღარ ადროვა არც გონზე მოსვლა, არც შესვენება, ფეხ და ფეხ მიჰყვა. ერთის დარტყმით აღებულ [illegible] ქეფრიკეს მტკიცე პოზიც[illegible] ღელეს კარად ითვლებოდა. ეს კი აზრუმში შესასვლელი ველი გახლავთ. გამარჯვებული მხედრობა ქეფრიკეს მიაყოლებს ჰასანკალას და ოსმალებს თვით აზრუმის ფორტებამდინ სდევნის. ამ დამარცხებამ დიდი ეფექტი მოახდინა რუსეთის მხედრობის თვალში, ხოლო ზარი შეჰქმნა მოწინაალმდეგე მხარეში, რაც იმითი დამტკიცდა, რომ უმალ ყოველ მხრით თითქმის უბრძოლველად დაიწყეს უკან დახევა.

პირველ თებერვლიდან იწყება აზრუმზე იერიშები. სამი დღის ბრძოლა რუსთა საკეთილდღეოდ თავდება. აზრუმი დაეცემა. ოსმალთა ჯარები სამი გზით ილტვიან: ბაიბურთისკენ, ერზინჯანისკენ და მუშ ბითლისისკენ. რუსის მხედრობა ფეხდაფეხ სდევს. ამასთანავე შავი ზღვის სანაპიროებით ფლოტიც დაიწყებს მოქმედებას. ოსმალთა დევნა ორი თვის განმავლობაში შეჩერებულ იქმნა. ოსმალთ მაშველი ჯარები მოსდით და მაგრდებიან ტრაპიზონის მიმართულებით, ერზან-ჯანისა და ბითლისის მხრით.

საოცარია, რომ ტრაპიზონზე იერიშები სრულს ორი თვის შემდგომ მოხდა. მთავარი იერიშები, როგორც ვსთქვით, აზრუმზე რუსებმა დაიწყეს პირველ თებერვალს და ოთხში უკვე დაამთავრეს ნაშუადღევზე. აქ, სამაგიეროდ, ოპერაციის განვითარების უმალ მთავარი იერიშები პირველს აპრილს დაიწყეს და 4 აპრილს აიღეს ნაშუადღევზე.

## 3. სპარსეთის ასპარეზი.

იმ დროს, როდესაც კავკასიის სახელოვანი ჯარი ასე თამამად მიიკვლევს გზას, გენერალი ბარათოვი თითქმის მთლად იპყრობს სპარსეთს. ისპაჰანის დაპყრობის შემდეგ რუსთა მხედრობის მიერ შექმნილი ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ სპარსეთში ჟანდარმერიას სცვლიან, რუსების კარნახისაებრ უფროსად აყენებენ სეფეხსადარს. ამასობაში ქერმანში (სამხრეთ-აღმოსავლეთ სპარსეთში) თეირანის მთავრობის მომხრეებს ამარცხებენ. გერმანელთა და ავსტრიელთა აგიტატორები გარბიან სპარსეთის ყურესკენ ქალაქ ლინგეში, სადაც ამოჰხოცვენ ინგლისელ ვიცე-კონსულს და მის მომხრეებს და დროებით აქ იმაგრებენ ზურგს.

სპარსეთის გმირნი ესწრაფებიან ტიგროსისკენ, სადაც ამჟამად შემწყვდეულნი არიან ინგლისელები. გენერალი ტოლენდი კვლავ კუტ-ალ-ამართან იმყოფება. ოსმალთ გამაგრებული პოზიციები აქვე აქვთ, 30 კილომეტრის მანძილზე, სახელდობრ უმ-ელხენენთან. ინგლისელთა მეორე ჯარი, გენერალ გორინგის მეთაურობით, შემწყვდეულია მეორე მხარეს. ეს გენერალი ინგლისელებმა დანიშნეს ელმერის მაგიერად. მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, ამ ორმა არმიამ ვერ მოახერხა შეერთება. დროგამოშვებით ერთმანეთზე იერიშები მიაქვთ, მაგრამ ვერასა ხდებიან: ინგლისელები ამ შემთხვევაში მეტ წილად უამინდობას და წყალდიდობას ასახელებენ.

## 4. რუსეთის დასავლეთი ასპარეზი.

ვერდენის ოპერაციის ყურებაში განსაკუთრებული ამბები ხდება რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე. უკანასკნელ ბილიუტენებში მთავარი შტაბი იხსენიებს როგორც რიგის მიმართულებას, ისე დვინსკისას. განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობენ იქსკიულის რაიონს, სადაც აქ ვსთქვათ, საარტილერიო დუელია გამართული. ეს ფაქტი ფრიად საგულისხმიეროა. დვინის ნაპირებზე გერმანელთა მარცხენა ფრთა, სჩანს, მტრის ძალას ჰზოგავს ფართო შეტევის დასაწყებლად.

გერმანელები მთელის ძალ-ღონით სცდილობენ ოდნავაც არ უღალატონ თავიანთ სამხედრო დოქტრინას—აქტივობის პრინციპს. ამიტომ სწრაფად ამოქმედდნენ მეორე მხრითაც, ბოგინის ტბის რაიონში. ამ გზაზე 50 ვერსის მანძილზე გაჭიმულია ტბების ხაზი, რომელნიც ერთმანეთში გადახლართული არიან პატარ-პატარა მდინარეებით. აი ეს გარემოება ხელს უშლის ფართო ჯარების მოქმედებას. ამ მხრივ, დიახაც, ბუნებრივი ციხე დიდათა ჰშველის რუსის მხედრობას, ვიდრე ახლად მიზიდული არტილერია. გერმანელებიც ამიტომ სცდილობენ სტრატეგიული პუნქტები ხელიდან არ გაუშვან. მათ მთელი ყურადღება მიაპყრეს პატარა ჭაობიან და ტბების წერტილს სვირისა და ვიშნევის ტბის შუა სოფ. ნაროჩს. აქედან ჰგზავნიან გერმანელები მზვერავ რაზმებს, აქედან დაეძებენ რუსთა ფრონტის სუსტ მხარეს, რათა თავის დროზე დაჰკრან

როდესაც თვით ბალტიის ზღვაზე მათი ფლოტი დაიწყებს ხმაურს.

შესაძლებელია გერმანელები ყველა ამ მხარეებში ამ გვარი დემონსტრაციებით ერთგვარს ილლუზიას ჰქმნიან, ვითომ და რა არის ამ მხრით ვაპირებთ იერიშებსაო, ნამდვილად კი სულ სხვა მხარე და სხვა მიმართულება აინტერესებდეთ. ჯერჯერობით კი შთაბეჭდილება ასეთია, რომ დემონსტრაციების გამჭვირვალე რიდე ხსენებულ პუნქტებს გვაჩვენებს, რომელთა ხელში ჩაგდება, ყოველ შემთხვევაში არც ერთი მხრისთვის არ იქნება ცუდი. უნდა ვიიმედოთ, სინამდვილე აპრილის დამლევამდე გამოირკვევა.

### ვერდენის გარშემო.

საფრანგეთის ასპარეზი მებრძოლ მხარეთა შორის ყველაზე საინტერესოა. კალედან მოყოლებული ვერდენამდე გაჭიმული ველი აგერ ორი წელია რაც მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. აქ, ამ მიმართულებით შეჩერებულ იქმნა გერმანელთა მრისხანე ტალღა. შამპანი, სუასონი, რეიმსი, შამონის სახელოვანი ბრძოლანი მსოფლიო ისტორიაში დაუვიწყარი იქნება. ფრანგებმა, ვიდრე სხვა რომელიმე მოკავშირე მხარემ, გასცეს სათანადო პასუხი, ფრანგებმა შეატრიალეს გერმანელთა ფარ-შუბის მოქნეული წვერი; აქ პირველად გაიბნა მებრძოლ მხარეთა ოცნებანი; აქ პირველად შეეჯახა ორი უდიდესი და უკეთილშობილესი გენიოსობა, ლათინთა ერთის მხრით და გერმანელთა მეორეს მხრით. გერმანელთა არმიამ ნელ-ნელა იწყო ოტება, ვიდრე სასურველ პოზიციებზე ფეხს არ მოიკიდებდნენ. მას აქეთ მათი ქარცეცხლი სხვა მხარეს აფრქვევს რისხვას. რუსეთი, შედარებით ახალგაზრდა, მოუმზადებელი და შეუიარაღებელი, საუკეთესო ასპარეზი იყო მის ძალოვანების სათარეშოდ. შემდეგ ბალკანეთი. ერთგვარი ეფექტის მოხდენით გერმანეთი სცდილობდა მორალური გავლენა მოეხდინა ყველა სახელმწიფოთა შორის. და აი, ფარულად, კულტუროსან და ღირსეულ მტრის წინ მდგარი გერმანეთი იზრახავს უდიდეს საქმეს, ვერდენის აღებას, რომ მით მთელი მსოფლიო გაანცვიფროს. რვა თებერვალს პირველად დაიგრიალა ამ ციხე-ბურჯის მიმართულებით მათმა სიკვდილის მოციქულმა—მორტირებმა და მას აქეთ ცეცხლმფრქვევი გრგვინვით, „ტაიმსის" სიტყვით რომ ვსთქვათ, მსოფლიოს ეუწყა, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ გერმანეთის განსაცვიფრებელ სამხედრო ძლიერების შემუსვრამდე, რომ კიდევ ბევრს სიურპრიზებთან გვექნება საქმე.

უნდა გერმანელთა სასახელოდ ითქვას, ესოდენ თავხედური ოპერაციის დაწყება ამ ხნის განმავლობაში, მართალია, დიდ მსხვერპლად დაუჯდათ, მაგრამ მაინც მსხვერპლმა სასურველი შედეგები მოუტანათ: საუკეთესო პოზიციები, მაღლობები, ბურჯები ეხლა მათს ხელშია. სიმაგრეთა პირველხარისხოვანი წრე გარღვეულია და ოპერაციის დასასრულიც მომწიფებულია.

ასეა თუ ისე, მდგომარეობა გაცილებით შორსაა იმ ილლუზიებიდან, რასაც ირდგენდნენ მებრძოლი მხარეები. არც ერთის განზრახულება იმად არ დარჩა, რასაც ჰფიქრობდნენ, ოცნებობდნენ. განსაცვიფრებელი ძალოვნება ყოველს მხრით ბოდიშსა ჰხდის ყველა მხარეს. ნგრევის აპოთეოზი მალე შენების აპოთეოზად გარდაიქმნება და ჩვენც სულ სხვა შედეგებთან გვექნება საქმე, სულ სხვა დასკვნებთან, ვიდრე ეს ომამდე ან ომის პროცესის დროს გვქონდა მომხიბვლელ ილლუზიებად გარდაშლილი...

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 7 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა იკსკიულის მიდამოებში ხიდის ყურის სიმაგრეებს. დრისვიატის ტბის სამხრეთითაც ზარბაზნების სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის პირის მიდამოებში რუსის მზვერავი რაზმი პორუჩიკ კოვალკოვის სარდლობით სდევნიდა უკან დახეულ მტერს, ჩაუსაფრდა და ტყვედ წამოიყვანა 7 ოსმალო აფიცერი, 190 ჯარისკაცი, რომლებიც ამას წინად სტამბოლიდან ტრაპიზონის მიდამოებში მოსულიყვნენ გერმანელ აფიცრის სარდლობით. ტრაპიზონში ხელთ ვიგდეთ 6 დიუმიანი ზარბაზნები. ქალაქი არ დაზიანებულა. ოსმალო მცხოვრებნი ტრაპიზონიდან გახიზნულიყვნენ, ქრისტიანებიკი აღფრთოვანებით შეეგებნენ რუსის ჯარს. ბითლისის სამხრეთით რუსებმა ოსმალები სიმაღლეებიდან განდევნეს და სგერტის მიმართულებით წინ მიიწევენ. აქ რამდენიმეჯერ კონტრიერიში მოიტანეს. ოსმალებმა ბრძოლის ველზე რამდენიმე ასი მოკლული დასტოვეს. რუსებმა ასკერები დაატყვევეს.

**პეტროგრადი.** 8 აპრილი. დასავლეთის ასპარეზი. იკსკიულის ხიდის ყურის მიდამოების სიმაგრეებს გერმანელები უშენენ მძიმე და სუბუქ ზარბაზნებს. რუსების ზარბაზნებმა ჩააჩუმა მტრის ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. იაკობშტადტის მიდამოების მარჯვენა ფრთაზედაც ზარბაზნებით ბრძოლაა. ოლიკის დასავლეთით და მურავიცის (იკვაზე) ჩრდილოეთით მოპირდაპირემ სცადა რუსების თხრილებს მიახლოვებოდა, მაგრამ მოიგერიეს. გალიციაში მოპირდაპირე მედგრად მოიწევდა წინ მოკოკის მთის მიდამოებში, მაგრამ ვერას გახდა.

კავკასიის ასპარეზზე რუსები წინ მიიწევენ.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო ძმობა უფრო განმტკიცდა, 7 აპრილს რუსის ჯარი მარსელში გადასხეს.

**პეტროგრადი,** 8 აპრილი. ოფიციალი. საზღვაო მთავარ შტაბის ცნობა. 7 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე, კრონშტადტის ერთ-ერთ სახელოსნოში, მუშაობის დროს აფეთქება მოხდა, რომელმაც ცეცხლი გააჩინა. ცეცხლი მალე ჩააქრეს. ცეცხლის დროს რამდენჯერმე მოხდა აფეთქება. არც ერთი საწყობი ასაფეთქებელ მასალისა არ დაზიანებულა. აფეთქებამ იმსხვერპლა 7 კაცი, ხოლო 17 დაჭრილია. როგორც გამოირკვა, ცეცხლი შემთხვევით გაჩენილა.

—

**პარიზი,** 6 აპრილი. საღამოს ცნობა. მაასის დასავლეთით ზარბაზნების ქუხილი იყო, უშენდნენ სიმაღლეს „304"-ს და მორტომ-კიუმერის შუა მდებარე ბრძოლის ხაზს. მაასის აღმოსავლეთით დომონ-ვოს მიდამოებში ძლიერი ბრძოლაა ზარბაზნებით. ვევრში, მაასის სიმაღლეებთან, დღემ მშვიდად გაიარა. ეპარჟთან მტერმა სამჯერ ზედიზედ მიიტანა იერიში, მაგრამ სამჯერვე მოიგერიეს. მესამე იერიშის დროს მტერი ერთხანს გამაგრდა ფრანგების სანგრებში 200 ადლის მანძილზე, მაგრამ სამაგიერო იერიშით ისევ განდევნეს და დიდი ზიანიც მიაყენეს. დანარჩენ ადგილებში შესამჩნევი არა მომხდარა რა.

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. ბელგეთის ბრძოლის ხაზზე ადგილ-ადგილ ზარბაზნებით ბრძოლა ასენ-ჟორჟის სამხრეთით, დიუქსმიუდეს მიდამოებში, მებორნის სახლის მახლობლად.

**პარიზი,** 7 აპრილი. დღის ცნობა. არგონებში, ოტშევოშესთან ნაღმებით ბრძოლა მოხდა. ფრანგებმა გერმანელების თხრილები ააფეთქეს. მაასის მარცხენა ნაპირას გუშინ მთელ ღამეს გერმანელები ზარბაზნებს უშენდნენ. მაასის მარჯვენა ნაპირას საღამო ხანზე ფრანგებმა მედგარი იერიში მიიტანეს მტრის სანგრებზე ვოს გუბის ჩრდილოეთ-დასავლეთით, მტრის რამდენიმე სანგარი აიღეს. აქ ფრანგებმა დიდი ზიანი მიაყენეს მოპირდაპირეს. ტყვედ წამოიყვანეს 10 აფიცერი, 16 უნტერ-ოფიცერი და 214 ჯარისკაცი. დავლად წამოიღეს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი და სამხედრო მოწყობილობა. ვევრში ფრანგები ზარბაზნებს უშენდნენ მოპირდაპირის ბანაკს. დანარჩენ ადგილებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

**პარიზი,** 7 აპრილი. საღამოს ცნობა. ავოკურის ტყეში „304" სიმაღლის მიდამოებში ფრანგებმა დაიბრუნეს 28 მარტს დაკარგულ სანგრების ნაწილი. მაასის აღმოსავლეთით ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით. ვევრში ქარიშხალისებური სროლა იყო ზარბაზნებისა. დანარჩენ ადგილებში სიწყნარე იყო.

**პარიზი,** 8 აპრილი. დღის ცნობა. მორტჰომის მიდამოებში ფრანგებმა ღამე აიღეს სანგრის ნაწილი კორეტის ტბის ნაპირას, და ტყვედ წაიყვანეს 4 აფიცერი და 150 ჯარისკაცი. მაასის აღმოსავლეთით მოპირდაპირემ ზარბაზნის სროლის შემდეგ მედგარი იერიში მიიტანა ტემონის ფერმასა და ვოს გუბის შუა ორი ვერსის მანძილზე. გერმანელებმა აიღეს დომინის სიმაგრის სამხრეთით მდებარე ადგილი, თუმცა ღამე ისევ განდევნეს იქიდან. ფრანგებმა ხელთ იგდეს ტყვეები და 2 ტყვიისმფრქვეველი.

# ახალი ამბავი

◆ **შაბიამანის ძებნა.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ალავერდის სპილენძის ქარხანამ აღუთქვა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომ შაბიამანს დავამზადებ, თუ ამისათვის საკმაო გოგირდის სიმჟავეს ვიშოვნითო. კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ კორვინ-პაველოვსკის და მდივანს ვ. ი. რცხილაძეს გოგირდის სიმჟავის განმანაწილებელმა ბიურომ (ბაქოში) აღუთქვა ამ ჟამად 4.500 ფუთი გოგირდის სიმჟავე ალაგირის ქარხნიდან და 4.000 ფუთიც მაისისათვის. სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა ვაგონებიც აღუთქვა კომიტეტს აღნიშნულ საქონლის გადმოსატანად. თითო ფუთი შაბიამანის დამზადებას ნახევარ ფუთამდე გოგირდის სიმჟავე უნდება. ამრიგად მოსალოდნელია, 16.000 ფუთამდე შაბიამანს დაამზადებს ალავერდის ქარხანა, თუ კიდევ რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ გადაეღობება წინ.

◆ **ახალი ბანკი.** კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებმა, რომელთაც შეტანილი აქვთ აქციის ღირებულობის პირველი გადასახადი, ე. ი. 10% აქციისა, უნდა წარადგინონ გადასახადის მეორე ხვედრი (100 მანეთი), მიმდინარე წლის 10—20 მაისამდე. ხელის მოწერა და ფულის შეტანა შეიძლება თბილისში სამეურნეო ბანკის დარბაზში და აგრეთვე საორგანიზაციო კომიტეტის განყოფილებებში. 20 მაისის შემდეგ ფულის მიღება შეწყდება.

◆ **კავასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** აქციების 40% შეტანილ უნდა იქმნას ამ წლის 10—20 მაისამდე. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, სამეურნეო ბანკის დარბაზში და აგრეთვე ახალი ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის განყოფილებებში.

◆ **კონცერტი.** ახალ კლუბში ორშაბათს 11 აპრილს დილით, ორი შეერთებული გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს ოთხ განყოფილებიან დიდ კონცერტს.

◆ **გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ** თავმჯდომარედ აირჩია თავ. ერ. კ. ნაკაშიძე, თავმჯდომარის ამხანაგად და ხაზინადრად თავ. ი. დ. ნაკაშიძე, გამგეობის წევრებად: თავ. დ. კ. ერისთავი, დ. ზ. თალაკვაძე, ნ. ი. აბაშიძე, გ. ი. გოგიტიძე, ს. ი. ცხომელიძე, ი. ბ. ღლონტი და ი. პ. უშვერიძე. საზოგადოების წარმომადგენლად საერობო თათბირზე, ე. ს. თაყაიშვილი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში წარმომადგენლებად თავ. დ. კ. ერისთავი, დ. ზ. თალაკვაძე და გ. ი. გოგიტიძე.

# სააღდგომო ნოგაითები ანდაზებით

**გადაგვარებულ ინტელიგენციას**
თევზი თავიდან აყროლდებაო.

**ჩვენებურ სოციალისტებს**
არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდ რომ ხეხო ქვიშითა.

**რუსულად რომ სწერენ იმ ქართველებს**
ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს და სხვაგან კი კვერცხსა სდებს.

**ჩვენი ბედიღბლის გამგებელთ**
ვისაც არ უნდა რიყეზედაც ქვას არ დაინახავს.

**სომხის ბურჟუაზიას.**
აქლემს უთხრეს—კისერი მრუდე გაქვსო, და სხვა რა მაქვს სწორიო!

**სომხურ პრესას.**
წყალ გაღმა წაღებავე, რომ წყალ გამოღმა შენ დაგრჩეს.

**ჩვენს თავად-აზნაურობას.**
თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო.

**საერთო მუშაობის უარისმყოფელთ.**
წისქვილის ქვები თუ ერთმანერთს არ ეხმარებოდეს, ცალმა რაც უნდა იბრუნოს ვერას დაფქვავს.

**ზოგიერთ ვაჭრებს.**
თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის კი სოროში მიძვრებოდაო.

**სომხის შოვინისტებს.**
ჭიანჭველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთი მაშინ გაუწყრება.

**ფედერალისტებს-სომხისტებს.**
მელას თავის მახრჩობელა უყვარს.

**„სახალხოელებს".**
მამის სული გაუშვა, მამინაცვლისას ფიცავდაო.

# ტანჯული გვირგვინოსანი

I

მხნე და ახოვანი, ჭკუა-გონებით მორჭმული, შორს გამჭვრეტი და, მართლაც, კვერთხისა და გვირგვინის ღირსი, მაგრამ ბედისა და ყოველ თვისტომთა მიერ მოძულებული მეფე სოლომონი მეორე განმგებელი იმერეთისა დაიბადა 1772 წელს. განგებამ მოისურვა მისი ნაადრევი დაჩაგვრა, ჯერ კიდევ უჭასაკოს, 12 წლისას, უხდება ბრძოლაში გასვლა, პოლიტიკურ ქარიშხალის ფერხულში ჩაბმა. საქმე ის იყო, რომ ამ დროს ქუთაისში (სახელდობრ 1784 წ.) გარდაიცვალა მეფე სოლომონ პირველი. მას მემკვიდრე არა რჩებოდა. მეფე ირაკლის სურვილის თანახმად მეფემ ტახტი და გვირგვინი უანდერძა თვის ძმისწულს დავითს არჩილის ძეს, ანუ გვირგვინის ქვეშ სოლომონ მეორედ წოდებულს. მაგრამ უწლოვნობა გახდა მიზეზი აღრეულობისა და შფოთვისა. სასახლის წარჩინებულნი გვარნი, იმერეთის მაღალი წოდება ერთხმად მოითხოვდნენ, რომ გამგებელი დროებით ჰასაკში მოსული ყოფილიყო. ასეთად გამოჩნდა მეორე ბატონიშვილი, ისიც დავითი, მაგრამ ძე გიორგისა, მეორე ძმისწული მეფე სოლომონ პირველისა.

დავით გიორგის ძეს ტახტის დამკვიდრებაში თვით რუსებმაც დიდად შეუწყეს ხელი. ამიტომაც მათ გულის მოსაგებად, ტახტზე ასვლისთანავე პეტროგრადში ეკატერინე მეორესთან ელჩები აფრინა და ითხოვა მისგან შეწყნარება და მფარველობა. ძნელი არ იყო გამოსაცნობად თუ საითკენ იყო გადახრილი ან რა პოლიტიკურ ჰორიზონტისკენ გაჰკრავდა ფრთას ეს უპიროვნო პიროვნება დროებითი გვირგვინოსანი. ამას ნათლად ჰხედავდნენ ზოგიერთი კარის კაცთაგანი და უკმაყოფილებას აცხადებდნენ, უკეთეს შემთხვევაში მიზეზს დაეძებდნენ, რომ თავიანთ გულისწყრომა გადმოენთხიათ.

ასეთმა მომენტმაც დაჰკრა. პირველად ხმას აღიმაღლებს პაპუნა წერეთელი, იგი მხარს მისცემს პატარა დავითს. მან ახალციხის ფაშას სოლეიმანთან აფრინა კაცი, გაეგებინა საქმის ვითარება და ითხოვა ამბოხებაში დახმარება. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. ფაშას იმა კიდეც ძმათა შორის ასეთი განხეთქილება და საკმაო ძალებიც მიაგება პაპუნას და დავითს, მაგრამ გამარჯვებული მაინც დავითი გიორგის ძე დარჩა, ამბოხებულნი დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ სამშობლოდან ლტოლვილიყვნენ და ახალციხეში ფაშასთან დროებით შეეფარებინა თავი.

რუსეთის მთავრობა კარგად ხედავდა თუ რა მშფოთარი სული იზრდებოდა ბატონიშვილ პატარა დავით არჩილის ძის სახით. ამიტომ მოისურვა არწივის ბარტყს ფრთა არ დაზრდოდა. მაგრამ ყველა ეს ისე უნდა მოხერხებულიყო, რომ პერსპექტივებში მშვიდობიანი სახით ყოველისფერი კეთილად დაბოლოვებულიყო და იმერეთის სამეფო ასეთ უპიროვნო მეფეთა წყალობით, როგორიც დროებითი მეფე დავით გიორგის ძე იყო, ხელში ჩაეგდო უბრძოლველად. ამიტომ მეფე გიორგის ტახტის განმტკიცებას ხელოვნურად შეუწყო ხელი, გენერალ პოტემკინისგან პეტროგრადიდან 4000 ოქრო მოსდის საჩუქრად, ხოლო ვითომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ურჩევენ გაქცეულ ბატონიშვილს პატარა დავითს რუსეთში დედოფალს ეკატერინეს ჰხლებოდა და მისგან მიელო შეწყნარება. თქმა არ უნდა, მეფე დავითის მიერ საჩუქარი მიღებულ იქმნებოდა, მაგრამ მოწოდება რუსთა კეთილის მრჩევლებისა ბატონიშვილმა უარჰყო და კვლავ დაურიდებელ მტრად აცხადებდა თავს. და მართლაც, ბრძოლა და შფოთი ექვს წლამდის გრძელდება, საბოლოოდ იმარჯვებს იგი თვით მეფე ირაკლის დახმარებით, ტახტიდან ჩამოაგდებს მეტოქეს 1790 წელს და სკიპტრას აიღებს, როგორც ვსთქვით, მეფე სოლომონ მეორის სახელით. ტახტ დაკარგული მეფე დავითი მირბის ოსმალეთში, მთელი ხუთი წლის განმავლობაში ამაოდ სცდილობს სოლომონის ჩამოსაგდებად, მაგრამ ბოლოს იძულებული ხდება აუცილებლობის წინაშე ქედი მოიხაროს, შეურიგდეს კანონიერს მეფეს და ნიშნად ამ შერიგებისა მძევლად გაუგზავნოს პირმშო კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც მუხურის ციხეში იქმნა დამწყვდეული.

II

სოლომონ მეფე რაც ჰასაკობაში შედიოდა, მით უფრო წრმუნდებოდა, რომ რუსეთთან კავშირი მაინცა და მაინც სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო. ამის მაგალითი ცხადლივ ნახა. სიმართლე ვსთქვათ, ტახტზე ასვლისთანავე (1790 წ.), მართალია, გული ეთანაღრებოდა, მაგრამ მაინც მეფე ირაკლის მიხედვით მოინდომა თავისი სამეფოც რუსეთის მფარველობის ქვეშ შეეხიზნებინა. ამისთვის საგანგებო ელჩიც კი გაჰგზავნა სახელოვანი მგოსანი ბესიკი (1801 წ.). მას, სხვათა შორის, ისიც კი დაავალა, თუ კი კეთილდღეობა და კარგი განწყობილება იქნება, შეაგნებინე რუსეთის მთავრობას, რომ მისთვის დიდად სასარგებლო იქნება ნავთსადგურების გამართვა ფოთში, ბათომში, ანაკლიაში და სხ. ასევე ეთხოვნა აფხაზეთის განთავისუფლებაში დაჰხმარებოდნენ, „რათა ამ სამთავროში კვლავ ქრისტიანობა აღორძინდეს და რუსეთთან ერთგულობით განმტკიცდეს ჩვენი საერთო ძალაო".

ასე ჰფიქრობდა სოლომონი, ასეთს კეთილს განზრახვით და შორსმჭვრეტელობით იყო აღჭურვილი მისი გონება. მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი განზრახვანი ამაოდ უნდა გამქრალიყვნენ და თითზე თვითვე ეკბინა. როგორც ვიცით, 1795 წ. აღამახმადხანმა ერეკლესადმი შურის საძიებლად ააოხრა ჩვენი დედა ქალაქი თბილისი. სოლომონ მეფე ორი ათასი კაცით გამოეშურა დაჰხმარებოდა სახელოვანს პაპას. მას, როგორც თვით ერეკლეს, დიდი იმედები ჰქონდა რუსეთზე, აჰა, ეგ მოვა, ეგ დაგვიხსნის განსაცდელისაგანაო. მაგრამ სინამდვილემ გამოჩენა არ დააყოვნა. რუსეთმა 1783 წელს დადებულ ტრაქტატის ძალით არამც თუ ერეკლეს არ მოაშველა ჯარი, პირიქით, კავკასიის მთავარსარდალს გრაფს გუდოვიჩს პეტროგრადიდან ატყობინებდნენ, მაინცა და მაინც თავს ნუ გაიცხელებ, თვით სოლომანსაც ხელს ნუ შეუწყობ, რომ ერეკლეს დროზე დაეხმაროსო. მიზეზი, აშკარა იყო: ამით რუსეთის მთავრობა ერთის სროლით ორ კურდღელს ჰკლავდა: ერთის მხრით სტამბოლს არ მოიმდურებდა და მეორე მხრით ხელს შეუშლიდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შეერთებას, გაძლიერებას, რაც საზიანო იქნებოდა რუსეთთან შეერთებისათვის. დიახაც, რომ რუსეთისთვის უმჯობესი ყოველთვის იყო და იქნებოდა ქართველთა შორის კეთილგანწყობილება არ ყოფილიყო, არ შეერთებულიყვნენ და მიტომც სადაც საჭირო იყო ინტრიგების მოწყობასაც არ ერიდებოდნენ.

სოლომონ მეფემ ამის შემდეგ ცერად დაუწყო ყურება რუსეთის მთავრობას. განსაკუთრებით ერთი წლის შემდეგ მის ეჭვებს ფრთა გამოესხა, სახელდობრ მაშინ, როდესაც გენერალ ზუბოვმა მისწერა ირაკლის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, მეფე სოლომონი გადააყენე და ოსმალთა რისხვა აიცილეთ თავიდან, რათა არ შემოესიონ იმერეთსაო. სოლომონ კარგად მიხვდა საქმე რაშიც იყო. ხრიკებმა ვერ გასჭრა და ამიერიდან საკუთარ თავს იქით სხვა სანდო ნავთსაყუდარი აღარ ეგულვებოდა.

III

მეფე ირაკლის სიკვდილის შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდა რუსეთის ნამდვილი სახე საქართველოსთვის. ტახტის მემკვიდრემ გიორგიმ მალე განუტევა სული. საუკუნოებრივმა სენმა უმალ იჩინა თავი. ატყდა შფოთი ბატონიშვილთა შორის, თუ ვის რგებოდა ტახტი. მემკვიდრედ ბატონიშვილი დავითი გამოდიოდა, პირმშო მეფე გიორგისა მაგრამ მის ბიძებს ეს არაფრად მოსწონდათ. ბატონიშვილი იულონი პირველი მეტოქე გახლდათ. იულონი იმერეთში გაიქცა. აქვე დანავარდობდა საფლავამდი შეურიგებელი ბატონიშვი ალექსანდრე. ამათი გაგულიანებით და პირადის გამოცდილებით უფრო განიმტკიცებდა სოლომონ გარდაწყვეტილებას, შეურიგებელი დარჩენილიყო. ამიტომაც რუსეთის არც ერთი მოთხოვნილება არ შეიწყნარა, ვთქვათ, თუნდა ბატონიშვილ კონსტანტინეს მუხურის ციხიდან განთავისუფლება, რომელიც მხოლოდ იმიტომ ჰსურდათ რუსებს, რომ იგი გაემეფებინათ ამ ურჩის ადგილას. სოლომონ შეუდგა ძალთა მოკრებას. მისი სურვილი იყო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, მაგრამ... შურმა და მტრობამ ერთის მხრით, მხოლოდ მეორეთი წმ. ანნას ჯვრებმა მალე ჩამოაცალა სამთავრო სამთავროზე. სამეგრელო მორჩილებას უცხადებს რუსის მთავრობას 1803 წელს. განა გასაკვირველი იქნებოდა, თუ რუსის მთავრობა ახლა არა თუ კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლებას, თვით იულონისა და ფარნაოზ ბატონიშვილების თვისაც მოსთხოვდა მძევლად?

სოლომონ მეფე ერთგვარს სასოწარკვეთილებას მაშინ უფრო მიეცა, როდესაც კავკასიაში მთავარმართებლად **ციციანოვი** და არა ციციშვილი დაინიშნა. ქართველი შთამომავლობით, უკედ, ცუღლუტ ბედის მიერ ქართველად დაბადებულს იგი ჭეშმარიტ რუსზე რუსი იყო გუნებით. ქართველთ მისგან ქართული არასოდეს გაუგონიათ. მისი გული რუსული სულით ჰფეთქდა. მან რუსეთის სკიპტრას დაუმორჩილა საქართველოს ბედნიერება, დამოუკიდებლობა. იგი სასტიკი იყო ყველ ურჩისათვის. სასტიკი დევნა და შევიწროება დაუწყო სოლომონსაც. მისი რჩევა და დასძენის თანახმად რუსეთიდან მოდის ბრძანება სოლომონის დასატუქსავად (26 ოქტ. 1803 წელს). ამ ბრძანების თანახმად იგი განემზადება იმერეთში შესასევად.

ორცეცხლ შუა ჩავარდნილი მეფე სოლომონი დროს მოსაგებად მოლაპარაკებას გაჰმართავს ციციანოვთან 19 აპრილს, 1804 წელს დაბა ლაზნაურში. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ შეურიგებელი მარად შეურიგებელი დარჩებოდა. სოლომონმა ისეთი პირობები წარმოუდგინა, რომ ციციანოვის რისხვა პირდაპირ გამოიწვია: ჩვენ ამის შემდეგ ბრძოლის ველზე შევხვდებით ერთმანეთსაო! ეს იყო ციციანოვის უკანასკნელი პასუხი და თანაც დაუყოვნებლივ ჯარები გაჰგზავნა იმერეთის სხვა და სხვა კუთხეში რათა თავად-აზნაურობა და ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცებინა. შეშინებული ხალხი, მართლაც, ეფიცებოდა. სასოწარკვეთილებას მიეცა სოლომონი. იგი ხელმეორედ ინახულებს ციციანოვს 25 აპრ. 1804 წ. მიიღებს ამ გარუსებულ გენერლის წინადადებას და დასტურს დასცემს იმპერატორისთვის ეცნობებინა იმერეთის სამეფოს რუსეთის ოლქად გამოცხადება. ალექსანდრე პირველმა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი დიდად მიიღო და შესაფერი წყალობის სიგელიც უბოძა 4 ივლისს, 1804 წელს.

(დასასრული იქნება)

**დ. კასრაძე.**

# ეკონომიური ცხოვრება

## გურიის სამეურნეო საზ. წევრთა დამფუძნებელი კრება ოზურგეთში

3 აპრილს „ახალი თეატრის" დარბაზში მოხდა გურიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება. გურიის სოფლებიდან მრავლად ჩამოვიდენ მეურნენი. წევრთა რიცხვი 120-მდე ავიდა.

კრება გახსნა საზოგადოების დამფუძნებელმა წევრმა—**თავ. ერმ. ნაკაშიძემ** და მოკლედ აუხსნა დამსწრეთ საზოგადოების მნიშვნელობა და მიზანი, რის შემდეგ წინადადებით მიმართა ამოერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. დიმ. ერისთავი და მდივნად ბ. დომ. თალაკვაძე.

გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) საზოგადოების გახსნა, 2) საზოგადოების ორგანიზაცია, 3) საწევრო გადასახადის ვადა, 4) საბჭოს წევრთა რიცხვი, 5) თანამდებობის პირთა სამსახურის ვადა, 6) თანამდებობის პირთა გასვლის წესი, 7) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვი, 8) საბჭოსა, სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატების და კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში სამი რწმუნებულის არჩევნები.

ამითი თავდებოდა დღის წესრიგში შეტანილი კითხვები. **ბ. ბეჟ. ხუნდაძემ** წინადადება შემოიტანა: დაემატებინათ ახალი კითხვები 1) თბილისისა და ქუთაისის გუბერნიათა სამეურნეო საზოგადოებების წარმომადგენელთა საერთო ყრილობის მოწვევის შესახებ და 2) საკუთარი წარმომადგენლის დაშვების შესახებ საერობო თათბირზე 26 აპრილს.

კრებამ დამატებით შეიტანა ეს საკითხი დღიურ წესრიგში.

ამის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა **ბ. შ. ქარუმიძემ**, რომელმაც გაზეთ **საქართველოს** დავალებით მიულოცა კრებას სამეურნეო საზოგადოების გახსნა. „საქართველოს" წარმომადგენელი კრებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქციის სახელით კრებას მიესალმა **თავ. ილ. ნაკაშიძემ**, რომელმაც თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ საზოგადოება უნდა იყოს ინტერნაციონალური ისე, ვით ბავშვი, რომელიც ყველას ერთნაირად წაეპოტინება. „დღევანდელმა ომმა ნათლად დაგვანახვა, რომ ეროვნებათა შორის კავშირი არ სუფევსო". საშინელი ომის მიზეზად დაასახელა გარყვნა საერთო იდეისა და უსურვა საზოგადოებას მყუდრო მუშაობა, რომელიც დასთრგუნავს ყოველგვარ ბოროტ ძალასო.

გაზ. **„სამშობლო"**-ს რედაქციის სახელით მისასალმებელი სიტყვით მიმართა კრებას ნაფიცი ვექილის თანაშემწე **ბ. ალ. ახათიანმა**: „არა მარტო ხმლით ჰქმნიდა ქართველი ერი წარსულში იმ ეროვნულ დიდებას, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ. მშვიდობიანი შრომით, მეურნეობისა და აღებ-მიცემობის მსახურებით ჰქმნიდენ ჩვენი წინაპრები ეროვნულ დოვლათს, ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც ეროვნულ ცხოვრების უტყუარ საფუძველს შეადგენს. უკანასკნელ საუკუნეში ქართველი ერი განიცდის წარმოუდგენელს ეკონომიურ უძლურებას. დაირღვა ძველი მეურნეობა და ვერ შეიქმნა ახალი, გადავარდა ხელოსნობა, აღებ-მიცემობა და ასეთმა ეკონომიურმა ურთიერთობამ წარმოშვა ჩვენი ერის ყოველმხრივი სისუსტე და დაკნინება.

თქვენი ახალი საქმე უტყუარი საბუთია იმის, რომ ქართველი საზოგადოება ახალს გზას ადგება. ამ ახალ ასპარეზზედ ის აღორძინებს მეურნეობას, შექმნის მრეწველობას და დააგროვებს ეროვნულ დოვლათს. ქონებრივად ძლიერი ერი ააყვავებს თავის სულიერ ცხოვრებას და დაიბრუნებს დაკარგულ უფლებას. მე მრწამს, რომ ამ გზით ჩვენის ერი შექმნის ეროვნულ დიდებას. გაზეთ „სამშობლო"-ს სახელით სალამს ვუძღვნი თქვენ-მიერ დაწყებულ ეროვნულ საქმეს."

კრება ორატორს ტაშით აჯილდოვებს.

ამის შემდეგ მდივანი კითხულობს მოსალოც დეპეშებს: დეპეშა მიიღეს გურიის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თავ. კონს. ერისთავისაგან, ბაქოდან—ნოტარიუს ლ. მამულაიშვილიდან, ბ. ექვ. თაყაიშვილისაგან, სასოფლო გაზეთის რედაქციისაგან და სხვა.

ერთი ამ დეპეშთაგანი **კნ. ნინო მერაბის ასულის თავდგირიძისა**, რომელმაც უხვი შემოწირულება გაიღო ხსენებული საზოგადოების სასარგებლოდ, მოგვყავს მთლიანად: აღტაცებით მივესალმები სამეურნეო საზოგადოებას; სამწუხაროდ არ შემიძლიან დავესწრო კრებას, ვუსურვებ აყვავებას ძვირფასი გურიის სასარგებლოდ, ალიკოს სურვილის თანახმად ვსწირავ ჩემ სახლკარს მისი მიდამოებით სოფ. აკეთში იმ პირობით, რომ იქვე გაიხსნას სამეურნეო სასწავლებელი".

კრება ადგენს, რომ მადლობა გადაეხადოს ახლად გახსნილ საზოგადოების სახელით პრესის წარმომადგენელთ, რომელთაც პირადათ მიესალმენ კრებას და ყველა იმ პირთ, ვინც საზოგადოებას დეპეშით მიულოცეს. ბ. ხუნდაძე წინადადებას იძლევა, რომ „საქართველოს" და „სამშობლოს" სამადლობელი დეპეშა გაეგზავნოს, შ. ქარუმიძე ზედ-მეტად სთვლის დეპეშის გაგზავნას. დიდს მადლობას მოვახსენებ კრებას ყურადღებისათვის და ყოველივე თქვენს დადგენილებას ჩვენ გადავსცემთ რედაქციებსო".

წესდება ზოგიერთმა მუხლებმა შენიშვნები გამოიწვია დამსწრეთა შორის და კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეიტანეს ასეთი ცვლილებები:

§ 33 შენიშვნა, რომლის ძალითაც საქმის წარმოება რუსულად უნდა ყოფილიყო, შეცვალეს შემდეგნაირად: „ყოველგვარი მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზედ.

საწევრო ფული 3 მანეთიდან ჩამოაყვანეს 1 მანეთამდე.

წესდების ძალით საზოგადო კრებებს თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე; კრებამ დაადგინა ყოველ საზოგადო კრებაზე ირჩეოდეს თავმჯდომარე დამსწრეთა შორის.

საზოგადო კრების კანონიერად ჩასათვლელად საჭირო იყო არა ნაკლებ 10 წევრის დასწრებისა და საზოგადოების ლიკვიდაციის დროს კი 25 საპატიო და ნამდვილი წევრების დასწრება.

კრებამ დაადგინა პირველ შემთხვევაში არა ნაკლებ $^{1}/_{4}$ და მეორე შემთხვევაში კი—$^{1}/_{2}$ საზოგადოების საერთო რიცხვისა.

ყველა ჩამოთვლილ შესწორებათა შესახებ კრებამ დაავალა საბჭოს შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე.

მეურნეთა საერთო კრების შესახებ ილაპარაკა ბ. მალ. **ქარუმიძემ**: „ქუთაისის და თბილისის გუბერნიის მეურნეთა საერთო კრება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ დღევანდელმა საშინელმა სისხლის ღვრამ დასცალა ჩვენი ქვეყანა მუშა ხელიდან და უკიდურეს მდგომარეობაშია. სტატისტიკური ცნობით, მუშა ხელის თითქმის 75% წასული ბრძოლის ველზე; ტირიფონის ველზე, რომელიც მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბეღლად ითვლებოდა, ნახნავ-ნათესი შემცირებულია $^{2}/_{3}$-დით. და თუ ახლა კიდევ ცხოვრებაში გაატარეს საიმპერიო კანონი, რომელიც თითო ცხენის და ძროხის ყოლის უფლებას აძლევს გლეხს დიდი და საშინელი უბედურება დაატყდება თავს ჩვენს ქვეყანას. რუსეთში და თუნდა აი გურია-სამეგრელო-იმერეთში შესაძლებელია იოლად წავიდეს გლეხი და მოხნას, მაგრამ ქართლ-კახეთში ყოვლად შეუძლებელია—იქ 7—8 უღელი ხარ-კამეჩია საჭირო, რომ გლეხმა მოხნას მიწა ძველებური გუთნით... ამან შიში გამოიწვია ჩვენ ქვეყანაში და შეადგინეს ერთნაირი მუშათა არტელები... დაარსდა განსაკუთრებული ბიურო, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ ხალხისთვის სასარგებლო საქმეს. როდესაც მთიული უსაქმოდაა თიბათვე-მკათათვეში, ის ბათუმისაკენ მიეშურება სამუშაოს საძებნელად და იმ დროს კი სწორედ ქართლ-კახეთში გაცხარებული მუშაობაა და ხსენებული ბიურო მოიწვევს ამ დროს მთიულთ სამუშაოდ... საჭიროა ენერგიის და შრომის გაასკეცება, რომ თავიდან ავიცილოთ სიმშილი. ყველა ამ მიზეზებისა გამო ქართლ-კახეთის მეურნეთა საზოგადოებებმა დაადგინეს იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ მეურნეთა საერთო კრება მოიწვიონ და ერთად გამოიმუშაონ, თუ რა ზომებით და საშვალებით ებრძოლონ უბედურებასა და მოსალოდნელ სიმშილს.

მეორე საკითხს, საკითხს ერობისას მჭიდრო კავშირი აქვს პირველთან. ერობის საკითხი ფრიად საჭირბოროტო საკითხია ჩვენთვის ქართველებისთვის. 26 აპრილს კიდეც გადასწყდება ავად თუ კარგად და რომ მოუმზადებელი არ შეხვდეთ ამას, რომ წინეთვე გათვალისწინებული გვქონდეს სად, რომელ კუთხეში რა გვესაჭიროება, ყველამ აშკარად, ყველამ თავისუფლად უნდა გამოვთქვათ ჩვენი სურვილი. ქ. თბილისი, რომელსაც უფლება ჰქონდა ყოლოდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი 26 აპრილის საერობო თათბირზე, თხოულობს 6 წარმომადგენლის უფლებას, ამიტომ საჭიროა და სასარგებლო ჩვენც გვყავდეს იმ კრებულში ჩვენი წარმომადგენელი. ჩემის მხრით, როგორც საქმესთან ახლო მდგომს და გაცნობილს მე დავასახელებდი ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილს.

დაასახელეს მეორე კანდიდატიც თ-დი დიმ. ერისთავი, რომელმაც მოხსნა თავისი კანდიდატურა და კრებამ აირჩია 26 აპრილს საერობო თათბირზე წარმომადგენლად ბ-ნი ე. ს. თაყაიშვილი.

კრებამ საპატიო წევრად აირჩია უხვი შემოწირულებისათვის კნ. ნ. მ თავდგირიძისა და დაავალა საბჭოს სამადლობელი დეპეშის გაგზავნა.

დასასრულს ამოირჩიეს თანამდებობის პირნი: საბჭოს წევრებად: თავ. ერმ. ნაკაშიძე (ერთხმად), ივს. ნაკაშიძე, დიმ. ერისთავი, ბ.ბ. დომ. თალაკვაძე, გერმ. გოგიტიძე, სიმ. ცხომელიძე, იაკ. უშვერიძე, ნესტ. აბაშიძე და ივ. ღლონტი; კანდიდატებად: ბ.ბ. კას. ქინქლაძე, სიმ. ურუშაძე და სიმ. თაყაიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ.ბ. ალ. მითაიშვილი, ვას. კილაძე და გიორ. მუმლაძე. მათ კანდიდატებად: ბ.ბ. მიხ. საბაშვილი და თეოფ. ერქომაიშვილი. წარმომადგენლებად ქართ. კულტ.-განმანათლ. საზ. კავშირში: თავ. დიმ. ერისთავი, ბ.ბ. დომ. თალაკვაძე და გერმ. გოგიტიძე.

გ. ჯავახი.

### შეიდემანის სიტყვა

გერმანელ სოც.-დემოკ. ბელადმა შეიდემანმა რეიხსტაგში განაცხადა:

კანცლერმა სთქვა, „გერმანელები სისხლად იცლებიან და იხოცებიან რაიმე მიწის ნაგლეჯისათვის კი არა, გერმანეთის გულისათვისო". სასურველი იყო, რომ კანცლერს თავისი აზრი უფრო მკაფიოდ და გარკვევით ეთქვა. მაგრამ მის სიტყვებში სრულიადაც არ გამოსჭვიოდა დაპყრობითი მიდრეკილება ან ძალმომრეობა. კანცლერმა განაცხადა:

„ომის მერე ევროპა ბევრში აღარ ემგვანება ომის წინანდელ ევროპასო". პოლიტიკური ბალღი უნდა იყოს ადამიანი, თუ დაიჯერებს, რომ როდესაც მთელი ქვეყნის ერთი ნაწილი ომშია გახვეული, როდესაც ხალხი მილიონობით იჟლიტება, არც ერთი მიჯნა არ დაიძრას, რაც კი დიპლომატების ხელით არის ჩაყრილი. ჩვენი დანიშნულებაა, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ომი. ისიც ვიცით რომ მთავრობა მზათაა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე, მაგრამ ვიცით ისიც, რომ მოპირდაპირეებს მებალის ყური გამოუბიათ.

ჩვენ ხმა მივეცით წყალქვეშა ნავებით ბრძოლის განგრძობას. წყალქვეშა ბრძოლა ძლიან ნაყოფიერი გამოდგა ჩვენთვის ინგლისის წინააღმდეგ და უნდა განვაგრძოთ კიდეც. საომრად გადადებული ფული როდი უნდა იხარჯებოდეს ისეთს საგნებზე, რომელსაც ვერ მოვიხმართ. საგულისხმოა ვიცოდეთ, რას იტყოდა ჩვენი პარტიული ამხანგი, საფრანგეთის მინისტრი ტომა, ასეთი წინადადება რომ მისცენ: ზარბაზნები დაამზადებინე, ხოლო ნუ კი მოიხმარო. არა, ჩვენ წყალქვეშა ნავებით უნდა დავიფაროთ ჩვენი ცოლშვილი შიმშილით სიკვდილისაგან.

9 დეკემბერს მე ვთქვი, ყველა ერებს მშვიდობიანობა სწყურიანთ მეთქი. ეს ჩემი რწმენა უფრო განმტკიცდა მას მერე. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ გვეუბნებიან, სანამ საფრანგეთს და ბელგეთს არ დასტოვებთ, ზავზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. ეს ხომ ყოვლად შეუწყნარებელი აზრია. რაც მოლაპარაკებას შედეგად უნდა მოჰყვეს, ამის პირველ პირობად სდებენ. ასე რომ გავყვეთ ჩვენ უნდა გვეთქვა: ჯერ ყველა ახალშენები დაგვიბრუნეთ, ჯერ თავისუფალი გზა მიეცით გერმანეთს ზღვაზე და მერე ზავზე დაიწყეთ ლაპარაკიო. ასე ხომ ასწლობით გავაგრძელებდით ომს. საჭიროა ზავზე მოლაპარაკება რაც შეიძლეილება ჩქარა დაიწყოს, რადგანაც მოლაპარაკების დაწყება დასაწყისია ომის დასასრულისა.

მართალია მეტად დაუნდობელი და მკაცრია ჩვენი ბრძოლა საფრანგეთთან, მაგრამ გერმანეთში სიტყვა არ დაძრულა საფრანგეთის სიძულვილისა. გერმანეთი მონატრულია საფრანგეთთან მეგობრულად და მშვიდობიანად იყოს. ჟორესის სიტყვა, სიკვდილის წინ ორი დღით ადრე ნათქვამი, ყველას გულის ფიცარზე უნდა გვქონდეს ამოჭრილი. ომის საბაბს ეძებდნენ. ომი სწყუროდათ ავადმყოფობამდე მისულ პატივმოყვარეთ და ევროპის ბირჟას. ეს იყო დედააზრი ჟორესის სიტყვისა. გერმანელებს არა სძულთ ფრანგები. კანცლერმა გუშინ აღნიშნა ფრანგ მეომართა ვაჟკაცური თავგანწირვა. ეს იყო საუცხოვო სიტყვა, რისთვისაც მადლობას ვუთვლი კანცლერს.

ეს ომი შეუძლებელი იქნებოდა, ევროპის დემოკრატია რომ უფრო შეგნებული ყოფილიყო და მდგომარეობის ბატონ-პატრონად საიდუმლო დიპლომატია არ იყოს. (ლიბკნეხტი ადგილიდან: გრცხვენოდეთ, თქვენ ხომ სოციალ-დემოკრატი ხართ!). რა თქმა უნდა, ჩვენც ვიცით, რომ იმპერიალისტური მიდრეკილება, რომლის წინააღმდეგაც მუდამ ვილაშქრებდით, აქაც საკმაოდ იყო. მაგრამ ვისაც ჰსურს, მერმისში მაინც თავიდან აიცილოს ომი, იგი დემოკრატიას უნდა ამოუდგეს გვერდში.

ომი, ეს არის დიდი უგუნურება, ეს არის უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ვისაც კი ადამიანობა კიდევ შესდგამს, მთელი ძალღონით უნდა ეცადოს, ომს ბოლო მოუღოს. თუმცა ამავე დროს უნდა ვერიდნეთ რაიმე უაზრო და ფანტასტიურ გულისთქმას, მაგ. „ომი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე" და სხვა ამგვარი. 9 დეკემბერს კანცლერმა განაცხადა, მზად ვარ ზავზე მოლაპარაკება დავიწყოვო. ამის იქით ნაბიჯი არ გადაუდგამს. მისი სიტყვები ქარცეცხლში გაატარეს, მაგრამ ვის საგულისხმიეროდაც იყო ნათქვამი ეს სიტყვები მათს გულისყურს ვერ ჩასწვდა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ომი, რაწამს კი მოპირდაპირენი ზავზე მოლაპარაკებას მოისურვებენ. თავისთავად ცხადია, ჩვენ ყოველგვარ ძალმომრეობის წინააღმდეგნი ვართ, მხოლოდ მოვითხოვთ, რომ გერმანეთი დარჩეს ხელუხლებელი პოლიტიკურად, თავისუფალი სამეურნეო საქმეში და დამოუკიდებელი. ჩვენ გვესმის ჩვენი მოვალეობა როგორც გერმანელობისა ისე სოციალისტობისა და პირნათლადაც მოვიხდით ჩვენს მოვალეობას როგორც გერმანელები და სოციალისტები.

### შემოწირულება

ქ. კირენსკიდან დავით ივანეს ძე როსტომაშვილმა აჭარლების სასარგებლოდ გამოგვიგზავნა 5 მანეთი. სააღდგომო დარბაზობის მაგიერ შემოვიდა გ. თ. ჟორდანიასაგან 5 მან. და ვ. ფ. ყიფიანისაგან 3 მ. ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად. ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აღმაშენებელმა კომისიამ მიიღო ნაფიც ვექილ ივანე ივანის ძის ზურაბიშვილისაგან 35 მან.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

**ჯეჯილი**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატ[illegible] ჟურნალი

**„სკოლა და ოჯახი"**

სამი აპრილიდან გამოვა ქუთაისში შემდეგის პროგრამით: პედაგოგიკა, ოჯახური აღზრდა, ჰიგიენა, განათლება სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, სახალხო მასწავლებელთა შორის, პროზა და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. ჟურნალში თანამშრომლობა აღგვითქვეს ჩვენმა ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. ჟურნალი ეღირება ამა წლის დამლევამდი ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ორი შაური. ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ხაზინის წინ, ქალაქის მესამე სკოლა (ჟურნალისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა პირველ საათამდი. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ნაცვლიშვილი.**

**ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა დ წიგ. მაღაზია**

**„განათლება"-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладз:.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"

ქუთაისში
ქარხანა
თბილისში

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**1916 წ. მიიღება ხელის მოწერა**

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

**„ნაკადულ"-ზე**

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 მ. 50 კ.** ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული" არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით **გამოიგზავნოს.**

**ხელის მოწერა მიიღება**

ტბილისში—„ნაკადული"-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. № 8. შემოსავლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეგვინეთუხუცესი** — **ძმ. მეგრელოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნე**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამაჟის შესახვევი № 4.